პროლეტარელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 108 (20444) — ოთხშაბათი, 3 მაისი, 1989 წელი. — ფასი 3 კაპ.

ჩვენმა ქვეყანამ საგანგებოდ აღნიშნა მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღე. ქალაქებსა და დაბებში გამართულ შრომელთა კოლექტივების დემონსტრაციებმა, მიტინგებსა და კრებებზე, მაისობებზე საბჭოთა ადამიანებმა მტკიცედ დაუჭირეს მხარი გარდაქმნას, გვიჩვენეს, რომ მზად არიან აქტიურად შეუწყონ ხელი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას, განამტკიცონ ხალხთა მეგობრობა.

გარდაქმნის, იმედის გაზაფხული

პირველი მაისის დემონსტრაცია წითელ მოედანზე



ვ. ი. ლენინის მავზოლეუმის ტრიბუნაზე.

საკინო-საქინფორმის ტელეფოტო.

გარდაქმნის მეხუთე გაზაფხული ფართოდ მიაბიჯებს ჩვენი სამშობლოს სივრცეებზე. დღევანდელ პირველ მაისს საბჭოთა ადამიანები ეგებებიან ენერგიით აღსავსენი, რომელიც საჭიროა ჩვენი საზოგადოების ცხოვრების ყველა მხარის განახლების მიზნით გაბედული, მასშტაბური ჩანაფიქრების განხორციელებისათვის.

1985 წლის ისტორიული აპრილის მიჯნიდან იწყება რევოლუციური ცვლილებების ათვლა, რომლებსაც პარტიის ინიციატივით ახორციელებს მილიონების თავდადებული აღმშენებლობითი შრომა, მშრომელები, რომლებმაც მოიშორეს უძრავი ათითა, და მხრები გაშალეს, სრულად აღიკვამენ თავს საკუთარი სვე-ბედის ბატონ-პატრონებად, თავიანთი აწმყოსა და მომავლის შემქმნელებად. ამის საწინდარია დემოკრატიზაციის, საჯაროობის პროცესები, რომლებიც ღრმავდება, ძლიერდება, საბჭოების ლენინური როლის აღდგენა, ეკონომიკის გაჯანსაღების, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის გამიზნული მტკიცე ღონისძიებანი. ეი ამიტომაც, ნაზგასმით აღნიშნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ამასწინათ გამართულ პლენუმზე მ. ს. გორბაჩოვმა, საბჭოთა ადამიანებმა მტკიცედ დაუჭირეს მხარი სოციალიზმს განახლებული და ჰუმანური სახით, რომელიც მართლაც აღმაღლებს ადამიანს, ემსახურება მის ინტერესებს.

სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა არჩევნებმა კიდევ ერთხელ დაადასტურა სოციალისტური დემოკრატიის, ჩვენი სახალხო ხელისუფლების სისტემის ძალა. დიდი ნაბიჯი გადაიდგა პოლიტიკური რეფორმისა და საზოგადოების დემოკრატიზაციის განვითარების, სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნის გზაზე. პარტიამ ყოველი ღონე იხმარა, რათა არჩევნები ნამდვილად დემოკრატიული ხასიათისა ყოფილიყო და კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ჩვენი სოციალისტური საზოგადოების პოლიტიკური ავანგარდის როლს ასრულებს.

არჩევნების დროს საბჭოთა ხალხმა მტკიცედ დაუჭირა მხარი გარდაქმნის შემდგომ გაღრმავებას, მისი განხორციელებისადმი უფრო გადამჭრელ და გაბედულ მიდგომას, ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროს სწრაფ სასიკეთო ცვლილებებს. ქვეყნის მშრომელები დარწმუნებულნი არიან, რომ სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა მომავალი ყრილობა, რომელზეც ჩამოყალიბდება ხელისუფლების უმაღლესი ორგანოები, განისაზღვრება მათი ფუნქციონირების წესი, პოლიტიკური რეფორმის ახალი, გადამწყვეტი ნაბიჯი იქნება.

ამ განწყობილებებისა და გრძნობების მთელი გამა ასახა მოსკოვის მორთულობამ, რომელიც დამშვენდა, გაახალგაზრდავდა პირველი მაისის დილას. წითელი მოედანი. მის დიდებულ ანსამბლს მშვენებენ კ. მარქსის, ფ. ენგელსის, ვ. ი. ლენინის პორტრეტები, პანოები, ისტორიაში პირველი შრომელთა სახელმწიფოს ემბლემა — ნამგალი და ურო. სენატის კოშკზე სსრ კავშირის გვირგვინი. კრემლის გალავნის გასწვრივ მომმე მოკავშირე რესპუბლიკების გერბები, მრავალფეროვანი ეროვნული ორნამენტები მოჩანს, გაზაფხულის სიო აფრიალებს სსრ კავშირის სახელმწიფო დროშას, რომელიც გარშემორტყმულია მრავალი ალისფერი ალმით.

„სსრ კავშირი ჩვენი საერთო სახლია“ — ამაყად ამბობენ საბჭოთა ადამიანები. გარდაქმნის მნიშვნელოვანი ამოცანაა ეროვნებათაშორისო ურთიერთობის შემდგომი სრულყოფა, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქებისა და ოკრუგების ისტორიული, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული თავისებურებების გათვალისწინებით. ღრმა სოციალურ-ეკონომიკურ ინტერესს იწვევს სკკპ ცენტრალური კომიტეტის ეროვნებათაშორისი ურთიერთობის სრულყოფილებისადმი მიძღვნილი მომავალი პლენუმი, მასზე ამყარებენ დიდ იმედებს.

ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოები ახლა დიდ მუშაობას ეწევიან, რათა გადაწყვიტონ სოციალური სფეროს, ეროვნული კულტურისა და ენის, ეკოლოგიის დარგში არსებული მწვავე საკითხები. მუშავდება კანონპროექტების პაკეტი ეროვნებათაშორისი ურთიერთობის ისეთი ძირითადი საკითხების შესახებ, როგორიც არის საბჭოთა სოციალისტური ფედერაციის სრულყოფა, მოკავშირე რესპუბლიკების, ოლქებისა და ოკრუგების სუვერენიტეტის განმტკიცება, სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კომპეტენციების ზუსტი გამიჯვნა. არსებითად ფართოვდება რესპუბლიკების ეკონომიკური დამოუკიდებლობისა და პასუხისმგებლობის სფერო საერთო-საკავშირო და რეგიონალური ინტერესების ორგანული შეხამების მიღწევის მიზნით.

... სადღესასწაულო უვერტიურად გაისმის მოედანზე თვითმოქმედი ორკესტრების ჰანგები. ივსება სტუმრებისათვის განკუთვნილი ტრიბუნები. აქ არიან პარტიისა და შრომის ვეტერანები, ოქტომბრის რევოლუციის, სამოქალაქო და დიდი სამამულო ომის მონაწილეები, წარმოების მოწინავენი და ნოვატორები, თვალსაჩინო მეცნიერები, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწენი, კოსმონავტები, პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები.

საპირველმაისო ზეიმზე მოვიდნენ ასზე მეტი ქვეყნის პროფკავშირული და მუშათა მოძრაობის, შროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის, სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების დელეგაციები, მრავალი უცხოელი სტუმარი.

აქვე არიან საზღვარგარეთის სახელმწიფოთა მოსკოვში აკრედიტებული დიპლომატიური წარმომადგენლობების მეთაურები.

დილის 10 საათი. ვ. ი. ლენინის მავზოლეუმის ცენტრალურ ტრიბუნაზე ადიან ამხანაგები **მ. ს. გორბაჩოვი, ვ. ი. ვოროტნიკოვი, ლ. ნ. ზაიკოვი, ა. ნ. იაკოვლევი, ი. კ. ლიგაჩოვი, ვ. ა. მედვედევი, ვ. პ. ნიკონოვი, ნ. ი. რიჟკოვი, ნ. ნ. სლიუნკოვი, ე. ა. შევარდნაძე, ვ. მ. ჩებრიკოვი, ა. პ. ბირიუკოვი, ა. ვ. ვლასოვი, დ. ტ. იაზოვი, ა. ა. ლუკიანოვი, ი. დ. ბასლიუკოვი, გ. პ. რაზუმოვსკი, ნ. ვ. ტალიზინი, ო. დ. ბაკლანოვი.**

აქვე არიან თვალსაჩინო საბჭოთა მხედართმთავრები.

გაისმის ფანფარების ხმა და პირველი მაისის, საბჭოთა ხალხის სადიდებელი სიტყვები. პიონერებს ყვავილები მიაქვთ პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებისათვის.

მედროშეთა ჯგუფი ხსნის სადღესასწაულო სვლას. მოსკოვის დროშა მოაქვს მოსსაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილეს ა. ი. კოსტენკოს. ქალაქის დროშას მოჰყვებიან შრომითი კოლექტივების წარმომადგენლები, მათ შორის — სსრ კავშირის სახალხო დეპუტატი, მოსკოვის მხატვრული საათების ქარხნის ბრიგადირი, ნ. ს. გლაზკოვი, მოსკოვის სამხატვრო თეატრალური ინსტიტუტის პროორექტორი, პროფესორი ლ. ს. გორდეევი, №785 სკოლის დირექტორი, სახალხო განათლების წარჩინებული ი. გ. დრემინა, მოსკოვის გეოდეზიის, აეროფოტოგადაღებისა და კარტოგრაფიის ინჟინერთა ინსტიტუტის სტუდენტი მ. ე. ფროლოვი, №57 პოლიკლინიკის მთავარი ექიმის მოადგილე ი. მ. ისტომინა, მ. ი. კალინინის სახელობის მანქანათსაშენებელი ქარხნის ამწყობ-ზეინკალთა ბრიგადირი ხ. ხ. გალიმოვი. მათ წილად ხვდათ ბაჯი იყვნენ დღეს დედაქალაქის რაიონების წარმომადგენლები, რომლებმაც გაიმარჯვეს სოციალისტურ შეჯიბრებაში პირველი კვარტალის შედეგების მიხედვით.

მოედანზე შემოდიან დედაქალაქის რაიონების კოლონები. კაცს თვალში ხვდება მათი მოკრძალებული და საქმიანი მორთულობა. ტრანსპარანტებსა და პანოებზე ასახულია ყველასათვის გასაგები მრავალსმეტყველი მონათხრობი იმის შესახებ, თუ როგორ ახორციელებენ მოსკოვის შრომითი კოლექტივები სკკპ XXVII ყრილობისა და XIX საკავშირო პარტკონფერენციის გადაწყვეტილებებს. გარდაქმნამ უდიდესი მუხტი მისცა აღმშენებლობით ენერგიას, ადამიანების მისწრაფებას მიაღწიონ სიტყვისა და საქმის ერთიანობას, იბრძოლონ საუკეთესო საბოლოო შედეგებისათვის.

— ეს მთელი სიცხადით ასახა საარჩევნო კამპანიამ, რომლის დროს საბჭოთა ადამიანები მომთხოვნელად აფასებენ კანდიდატთა პროგრამებს იმის მიხედვით, თუ რა პრაქტიკული მნიშვნელობა ჰქონდათ მათ ჩვენი ცხოვრების მთავარი საქმის — გარდაქმნის საქმისათვის, — თქვა სსრ კავშირის სახალხო დეპუტატმა, დედაქალაქის ქარხნის „კომპრესორის“ ხარატთა ბრიგადირმა **ვ. ა. ლუნევმა.** — მუშათა კლასმა არა მარტო ხმა მისცა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის კურსს, არამედ იკისრა ვალდებულებაც — გაზარდოს წვლილი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებისათვის ბრძოლაში.

კომუნისტმა ლუნევმა, როგორც ათასობით მისმა ამხანაგმა დედაქალაქის ყველა საწარმოს მუშამ, პარტიის წევრებმა და უპარტიოებმა, იციან, რომ დიდი ცხელ საქმეს. ადამიანებს ეს უბრალოდ მობეზრდათ, საჭიროა კონკრეტული, საგრძნობი შედეგები. უნდა შესრულდეს ლენინის ანდერძი, სურსათის გაწერა საბოლოოდ შეიცვალოს სასურსათო გადასახადით.

წითელ მოედანზე შემოდის მოსკოვის სახარისხებელი დეპოს კოლექტივის კოლონა. აქ შეიდი ათწლეულის წინათ, 1919 წლის ძნელ, გარდამტეხ გაზაფხულზე იშვა კომუნისტური შრომისათვის მოძრაობა. ვ. ი. ლენინი თავად მონაწილეობდა ერთ-ერთ პირველ შაბათობაში და სამართლიანად უწოდა მას „დიდი თაოსნობა“.

— ახლანდელი, საიუბილეო შაბათობა ჩემთვის ორმოცდამეათე იყო, — თქვა კოლექტივის ვეტერანმა, საპატიო რკინიგზელმა **ვ. ი. ლეონოვმა.**

უკვე ოცი წელია, რაც ვიქტორ ლეონოვი პენსიაზეა, მაგრამ ყოველი შრომითი აპრილის შაბათობაზე იგი თავის მშობლიურ კოლექტივთან, სახელგანგმქმელი შრომითი კოლექტივის ახალგაზრდა მუშებთან ერთად არის. ასეთია მუშათა მოსკოვის უჭკნობი ტრადიცია.

მისი მთავარი სამდიდრე — ოქროს ფონდი — არიან ადამიანები, ათასობით მოკრძალებული რიგითი მშრომელები, თავისი საქმის ოსტატები, ისეთები, როგორიც არის პირველი სახლთსაშენებელი კომბინატის ელექტროშემდუღებელი **პ. ტ. ხორკინი.** მისი ოცდაათწლიანი მუშური ბიოგრაფიის ნიშანსვეტები აღნიშნულია დედაქალაქის რუკაზე ახალშენებლობათა რაიონების სახელებით, ესენია სამხრეთ-დასავლეთი, კუზნეცკა, ლიანოზოვო, მარინო, ივასენევო, ტუშინო, ტროპარევო.

გარდაქმნა და მშენებლობა ერთ საძირკველს ემყარება, — თქვა პავლე ხორკინმა. — გარდაქმნა კი უწინარეს ყოვლისა არის თითოეულის პასუხისმგებლობა დაკისრებული საქმისათვის. მუშაობაში მთავარია დისციპლინა და ორგანიზებულობა. ეს უნდა ესმოდეს ყველას, მათ შორის იმათაც, ვისაც უყვარს ბევრი და ხმამაღლა ლაპარაკი ნაკლოვანებებზე, მაგრამ არაფერს აკეთებს მათ დასაძლევად. მე ვებრძვიდი დემოკრატიას, საჯაროობას, მაგრამ მიმაჩნია, რომ საერთო საქმეში თითოეულის წვლილის ნამდვილი ღირებულება სიტყვებით კი არა საქმით იზომება.

მიყვარს ჩემი სამუშაო, გარშემო ვხედავ საქმის ერთგულ ბევრ ამხანაგს, რომლებიც მგზნებარედ, აზარტით მუშაობენ. ასეთებად აღგვზარდა ბრიგადამ — კომბინატის თანატოლმა, რომელსაც მალე ოცდაათი წელი შეუსრულდება. არ შემიძლია არ ვიფიქრო ახლა ჩვენს ბრიგადირზე, წარჩინებულ მოსკოველ მშენებელზე, სოციალისტური შრომის გმირზე ვლადიმერ ალექსის ძე კაპუსტინზე, რომელიც ახლა პენსიაზეა. კოლექტივის ხელმძღვანელობა ვანდეთ მის ერთ-ერთ აღზრდილს —ვლადიმერ ივანეს ძე დოროდნიხს.

ჩვენმა ბრიგადამ თავის დროზე მოსკოვში პირველმა დაიწყო სახლების ჩქაროსნული დამონტაჟება. სწრაფი ტემპით ვმუშაობთ ახლაც. სხვაგვარად არ შეიძლება. პარტიამ ამოცანად დასახა — ორი ათასი წლისთვის თითოეულ ოჯახს ცალკე ბინა უნდა ჰქონდეს. ვიცი, გაგვიჭირდება, მაგრამ დარწმუნებული ვარ, თავს გავამთვევთ. ჩვენს, მშენებლებს უკან ხომ, როგორც იტყვიან, მოსკოვია!

ჩვენს უკან მოსკოვია! — ასე ამბობდნენ ჯარისკაცები, როცა ომის ძნელბედობის ჟამს დედაქალაქს ფაშისტთა ურდოებისაგან იცავდნენ და მსოფლიო ფაშიზმისაგან იხსნეს. მშობლიური ქალაქი მუდამ მახსოვდა, როცა ჯარისკაცის ვალს ვიხდიდი შორეულ ავღანეთში, თქვა ნიკოლოს პროხოროვმა, ამჟამად მოსკოვის საწარმო გაერთიანება „სალუტის“ მშრომელმა.

ბრძოლაში მამაცობისათვის თადარიგის უფროსი სერჟანტი ნ. პროხოროვი დაჯილდოვდა ორი წითელი ვარსკვლავის ორდენით. არმიიდან მშობლიურ გაერთიანებას დაუბრუნდა და საუკეთესო ზეინკალი გახდა, დამკვრელური შრომისათვის ლენინის ორდენით დაჯილდოდა. კოლექტივში კომუნისტს პატივს სცემენ პირდაპირობისა და პრინციპულობისათვის, იმისათვის, რომ მუდამ მზად არის დაუხმაროს ამხანაგს. გაერთიანების მუშებმა ნ. პროხოროვი აირჩიეს მოსკოვის სახალხო დეპუტატთა პირველი მაისის რაიონული საბჭოს დეპუტატად. პირდაპირ სადღესასწაულო კოლონაში ვესაუბრებით ყოფილ ინტერნაციონალისტ მეომარს.

— რამდენიმე წელი გავიდა მას შემდეგ, რაც გამოვეთხოვე ნაწილის საბრძოლო დროშას. ზოგჯერ კი მგონია, რომ ეს გუშინ იყო. თვალს დავხუჭავ და ვხედავ გარინდულ მწყობრს, მეგობარი ჯარისკაცების მედვედევის, პიტუხოვის, ბუდოვსკის, ჩემი ბევრი თანამებრძოლის სახეებს.

მთელმა ჩემმა სამსახურმა ავღანეთში ჩაიარა. მართალია იმ ომის ცხრა წელი უკვე ისტორიად იქცა, ჩვენ კიდევ დიდხანს მივუბრუნდებით ხოლმე მას, რათა გავიგოთ დაშვებული შეცდომებისა და დანაკარგების სიმწარე, ახლანდელი საბჭოთა ხელმძღვანელობის გმირობა და სიბრძნე, ახალი პოლიტიკური აზროვნების გამარჯვება. მთელმა მსოფლიომ ღირსეულად შეაფასა სსრ კავშირის გადწყვეტილება ავღანეთიდან

(დასასრული 3-ე გვ.).

მომავალი ახალმოსახლეობის ადგილებში

პირველ მაისს ნაშუადღევს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი გ. გ. გუმბარიძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ა. ჭითანავა და საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ტ. ვ. ლორთქიფანიძე ეწვივნენ ასპინძის, ახალქალაქისა და ბოგდანოვკის რაიონებს, დაათვალიერეს მომავალი სოფლებისა და სახლების მშენებლობის ადგილები, სადაც იცხოვრებენ მთიან აჭარაში სტიქიური უბედურებით — ზვავების, მეწყრისა და ღვარცოფების შედეგად დაზარალებული ოჯახები.

ადგილობრივ პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო მუშაკებთან საუბრის დროს განიხილეს რაიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საკითხები, სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების მიმდინარეობა.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო მთიან აჭარაში სტიქიით დაზარალებული მოსახლეობის მიღებისათვის მუშაობას. ახალქალაქის რაიონი მზად არის მიიღოს დაახლოებით 500 ოჯახი, ბოგდანოვკისა — 200, ასპინძისა 300-ზე მეტი ოჯახი. გამოითქვა რჩევა და რეკომენდაციები კეთილმოწყობილი გზების გაყვანის, ნორმალური ცხოვრებისა და შრომისათვის საჭირო პირობებით, ელექტროენერგიით, წყლით, საყოფაცხოვრებო და სოციალურ-კულტურული დანიშნულების ობიექტებით ახალმოსახლეთა უზრუნველყოფის თაობაზე, რათა ადამიანებმა თავი ისე იგრძნონ, როგორც თავის დიდი ხნის სამოსახლო ადგილებში.

რაიონების ხელმძღვანელებმა აღნიშნეს, რომ ადგილობრივმა მოსახლეობამ კმაყოფილებით აღიქვა ცნობა ამ მხარეში აჭარიდან დაზარალებული ოჯახების ჩამოსახლების შესახებ, იგი მზად არის ყოველმხრივი დახმარება გაუწიოს მათ, რადგან რესპუბლიკის ერთი ნაწილის უბედურება მთელი ხალხის უბედურებაა, და იგი კიდევ უფრო უნდა შეკავშირდეს და დაირაზმოს სიძნელეთა დაძლევისათვის ბრძოლაში. ძალა ყოველთვის ერთობაში იყო და ტყუილად როდია ნათქვამი, ძმაო ძმითა ხარ ძლიერო.

ასპინძის რაიონის ნიალის მიდამოების დათვალიერებისას ხაზგასმით აღინიშნა, რომ აქ ჩინებული პირობებია მეცხოველეობის განვითარებისათვის, რასაც ხელს უშლის მუშახელის ნაკლებობა, აჭარიდან ახალმოსახლეთა ჩამოსვლა ხელს შეუწყობს სახალხო მეურნეობისათვის ამ უმნიშვნელოვანესი დარგის აღორძინებას მნიშვნელოვან დაჩქარებას, რაიონის ეკონომიკური პოტენციალის ზრდას.

ასპინძის რაიონში ამხანაგები გ. გ. გუმბარიძე, ნ. ა. ჭითანავა და ტ. ვ. ლორთქიფანიძე შეხვდნენ მესაზღვრეებს.

(საკინფორმი).

საუბარი საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

2 მაისს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი გ. გ. გუმბარიძე მიიღო იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრი ს. უნო, რომელიც საბჭოთა კავშირში ოფიციალურ ვიზიტად არის საბჭოთა მთავრობის მოწვევით. გ. გუმბარიძე გულთბილად მიესალმა სტუმარს და აღნიშნა, რომ იაპონიის დელეგაციის ვიზიტი მიმდინარეობს იმ დრამატული მოვლენების ფონზე, რომელიც რესპუბლიკაში მოხდა. მიუხედავად ამისა, ქართველი ხალხი მოხარული იქნება თავისი ტრადიციული სტუმართმოყვარეობით და პატივისცემით მიიღოს სტუმარი.

შეცდომად მიგვაჩნია, თქვა მან, როცა ხალხთან ურთიერთობა ძალის გამოყენებით წყდება. ასე მიაჩნია მ. ს. გორბაჩოვს, ასე მიაჩნია ე. ა. შევარდნაძეს, რომლის საქართველოში ყოფნამ ამ ძმიმე დღეებში ხელი შეუწყო ვითარების სტაბილიზაციას. ყველა გადაწყვეტილება, მათ შორის პოლიტიკური, უნდა მივიღოთ დიალოგის საფუძველზე. უნდა ვისწავლოთ ოპონენტთა აზრის პატივისცემა. ყველა ადამიანი უნდა გავიხადოთ პარტნიორად, და არა მტრად.

საუბრის დროს შეეხნენ საბჭოთა საზოგადოების ცხოვრების ყველა სფეროში — პოლიტიკურ, ეკონომიკურ, საკანონმდებლო სფეროებში მიმდინარე ღრმა ცვლილებებს.

გ. გუმბარიძემ აღნიშნა, რომ გარდაქმნა ფართო შესაძლებლობებს უქმნის საზღვარგარეთის ქვეყნებთან რესპუბლიკის თანამშრომლობას, უშუალო ურთიერთობის დამყარებას. ეს კონკრეტულად გამოვლინდა იმით, რომ განმტკიცდა საქართველო-იაპონიის კონტაქტები ეკონომიკის, მეცნიერების, კულტურის დარგში. ეს საბჭოთა კავშირ-იაპონიის ურთიერთობის გაუმჯობესების საერთო პროცესის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია.

ს. უნომ მადლობა გადაიხადა გულთბილი მიღებისათვის, აღნიშნა, რომ დიდი ხანია ოცნებობდა საქართველოში ჩამოსვლაზე და მისი მოლოდინი მთლიანად გამართლდა. აქედან ყველაზე სასიამოვნო მთაბეჭდილებები მიმყვება, თქვა მან, ბევრ ადამიანებთან შეხვედრებმა სასარგებლო გამოცდილება შემძინა, რომლის გამოყენებასაც შევეცდები იაპონიისა და საქართველოს ურთიერთობის შემდგომი განმტკიცებისათვის.

საუბრში მონაწილეობდნენ:

საბჭოთა კავშირის მხრივ—სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ი. როგაჩევი, საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა მინისტრი გ. ჯავახიშვილი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს წყნარი ოკეანის რეგიონისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების სამმართველოს უფროსი ლ. ჩიკოვი, სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი იაპონიაში ნ. სოლოვიოვი და სხვა ოფიციალური პირები;

იაპონის მხრივ — იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ტ. კურიბამ და სხვა ოფიციალური პირები.

* * *

იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრი ს. უნო, რომელმაც საქართველოში ბაღნობის მიზნით იმოგზაურა, 2 მაისს თბილისიდან მოსკოვს გაემგზავრა.

თბილისის აეროპორტში სტუმარი გაეცილეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ჭითანავამ, რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა გ. ჯავახიშვილმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველმა ზ. მაზარაძემ, თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ი. ანდრიაძემ.

სტუმართან ერთად გაემგზავრნენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ი. როგაჩევი, აგრეთვე სსრ კავშირის ელჩი იაპონიაში ნ. სოლოვიოვი და სხვა ოფიციალური პირნი, რომლებიც თან ახლდნენ მას.

(საკინფორმი).

გარდაქმნის, იმედის გაზაფხული

(დასასრული)

ჩვენი ჯარების სრული გამოყვანის შესახებ. გადარჩენილია ათასობით ახალგაზრდა სიცოცხლე, დედები ეღირსნენ ვაჟების დაბრუნებას. მაგრამ გული გტკივა, როცა გესმის, რომ სისხლისღვრა მრავალტანჯულ ქვეყანაში გრძელდება. მას აუცილებლად უნდა მოეღოს ბოლო!

ჩვენი ქვეყნის მშვიდობისმოყვარული პოლიტიკა მთელ მსოფლიოში ასოცირდება ახლა „გარდაქმნის“ ცნებასთან. მოსკოვიდან მიიღო პლანეტამ იმ ინიციატივის მძლავრი იმპულსი, რომელთა მიზანია ყველა საომარი კონფლიქტის დაუყოვნებლივ შეწყვეტა და მომავალში თავიდან აცილება.

ამ მოწოდებას ვადასტურებთ საქმეებით, როცა ცალმხრივი წესით შემცირდა საბჭოთა შეიარაღებული ძალების რაოდენობა, ხორციელდება მათი ნაწილობრივი გამოყვანა ვარშავის ხელშეკრულების ქვეყნებიდან.

დღეს წითელ მოედანზე ბევრი საზღვარგარეთელი სტუმარია. ესენი არიან ჩვენი მხანაგებიც მომძმე სოციალისტური ქვეყნებიდან, რომელთაგან ბევრში აგრეთვე ძალას იკრებს სოციალური განახლების პროცესები. აქვე არიან განვითარებადი სახელმწიფოების წარმოგზავნილები, სტუდენტები, მუშები, ინჟინრები. კრემლის გალავანთან ამ სადღესასწაულო დღეს შეიძლება შეეხვედეთ ევროპის, ამერიკის, იაპონიის საქმიანი სამყაროს წარმომადგენლებს. გარდაქმნამ ნამდვილად გამოავლინა ურთიერთხელსაყრელი თანასწორუფლებიანი საქმიანი პარტნორობის ჭეშმარიტად ამოუწურავი ახალი შესაძლებლობანი.

საბჭოთა ადამიანებს მიაჩნიათ: კაცობრობას შეუძლია თავი მოუყაროს და კიდეც უნდა მოუყაროს ძალებს, აღმშენებლობით, ინტელექტუალურ შესაძლებლობებს არა სულ უფრო მძლავრი მოსპობის საშუალებების შესაქმნელად, არამედ ყოველივე იმის საწარმოებლად, რამაც ჩვენი ცხოვრება უფრო მდიდარი, უკეთესი უნდა გახადოს.

სწრაფად დამკვიდრდა უცხოური სიტყვა „კონვერსია“, რომელიც ახლა ჩვენთვის ნიშნავს მხოლოდ მშვიდობიანი მიზნებისათვის თავდაცვის სიმძლავრეების გამოყენებას. ესეც დროის ნიშანი, გარდაქმნის ხანის კეთილი ნიშანია.

დემონსტრანტთა სადღესასწაულო კოლონებში არიან მოსკოვის მ. ვ. ხრუნიჩევის მანქანათმაშენებელი ქარხნის წარმომადგენლები. საწარმოს ბევრი ნაწარმი იგზავნება მაღაზიებში, როგორც სახალხო მოხმარების საქონელი, თხილამურები, ჯოხები, ტურისტული კარვები, ავტოტენტები, სამზარეულოს ჭურჭელი, სააგარაკო ორბინიანი სახლები, საბავშვო ველოსიპედები, ციგები.

ჯერ კიდევ შარშანდელი საპირველმაისო რეპორტაჟის დროს ჩვენ, ჟურნალისტებს, დიდი სურვილის მიუხედავად არ გვქონდა საშუალება დაგვესახელებინა ეს სახელოვანი მუშათა კოლექტივი, რომელსაც ეწოდებოდა „საფოსტო ყუთი“. ასეთ „ყუთებში“ ხომ ახლა აწარმოებენ სახალხო მოხმარების მრავალი სახეობის საქონლის მოცულობის დაახლოებით 50 პროცენტს. და „სამოქალაქო“ მრეწველობამ თავდაცვითი დარგების სახით მძლავრი და ეფექტიანი დახმარება მიიღო.

შეგახსენებთ მხოლოდ ზოგიერთ ციფრს. მარტო წელს სსრ კავშირის სამხედრო საწარმოებში აწარმოებენ 27 მილიარდი მანეთის სამოქალაქო პროდუქციას, რაც სახალხო მოხმარების მთელი საქონლის საერთო მოცულობის 7,5 პროცენტის ტოლფარდია. უკვე ახლა ჩვენი თავდაცვითი კომპლექსის პროდუქციის 40 პროცენტი მშვიდობიანი მიმართულებისაა. 1991 წელს ეს წილი ორმოცდაათ პროცენტამდე გაიზრდება, 1995 წლისათვის კი — 60 პროცენტამდე მოიმატებს. „თავდაცვას“, რომელსაც დიდი სამეცნიერო-საწარმოო პოტენციალი აქვს, უკვე დღეს შეუძლია მხოლოდ მშვიდობიანი მიზნებით გამოიყენოს თავისი ტექნიკური ნამუშევრების ოთხი მეხუთედი.

კონვერსია კი ჭულისხმობს სამხედრო წარმოების არა მარტო შემცირებასა და პროფილის შეცვლას, არამედ სახალხო მეურნეობაში ყოფილი სამხედრო ტექნიკის უშუალო გამოყენებას. იმ 10 ათასი ტანკიდან, რომლებსაც საბჭოთა კავშირი აძლიერებს ევროპაში, მხოლოდ ნახევარი იქნება „ფიზიკურად“ ლიკვიდირებული. დანარჩენები გადაიქცევა საწევრებად, სახანძრო მანქანებად, ბულდოზერებად. ისინი ცხოვრებას განაგრძობენ მშვიდობიან ასპარეზზე.

რაც შეეხება მ. ვ. ხრუნიჩევის სახელობის ქარხნის შრომით კოლექტივს, იგი თავის კონვერსიას სწრაფი ტემპით აწარმოებს. სამოქალაქო პროდუქციის გამომშვები საამქროებისათვის უკვე გამოყოფილია ათიათასობით კვადრატული მეტრი საწარმოო სიმძლავრეები. მიმდინარე წლის დამლევისათვის ქარხნის მუშები გამოუშვებენ 20,5 მილიონი მანეთის მშვიდობიან პროდუქციას.

დიახ, იმისათვის, რომ საქონლითა და მომსახურებით უხვად უზრუნველვყოთ საშინაო ბაზარი, ბევრი რამ უნდა გავაკეთოთ. მაგრამ ამ უმნიშვნელოვანესი სოციალური ამოცანის გადაწყვეტაში გარდაქმნა ახალ ძალებს აბამს.

ერთ-ერთია კოოპერაციული მოძრაობის აღორძინება. მოსკოვის № 3 რკინაბეტონის ნაწარმის ქარხნის კოლონაში ხანმოკლე საბარი გაიმართა კოოპერატივ „ენერგომშენის“ კოოპერატივის თავმჯდომარესთან **ა. მ. მოსკვიჩევი.** რა მიაჩნია მას თავის უპირველეს ამოცანებად, როგორია მისი სამუშაო გეგმები:

— დაიწყო მოსკოვში მიღებული პროგრამის „ჯანმრთელობის“ რეალიზაცია. მისი ერთ-ერთი პირველი რგოლია რაიონული პოლიკლინიკების განმტკიცება. დავიწყეთ მათი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარებით, სპეციალისტი ექიმების მოზიდვით, რომელთა ნაკლებობას ქრონიკულად განვიცდით, ვაპირებთ შემოვიღოთ დახმარების გაწევის ისეთი პროგრესული ფორმები, როგორიც არის „საოჯახო ექიმის“ პრინციპი. იმედი გვაქვს, რომ მხარს დაგვიჭერენ საბჭოები, მოსკოვის ყველა საწარმო და ორგანიზაცია. ადამიანების ჯანმრთელობა ხომ ჩვენი ძირითადი კაპიტალია და მას საერთო ძალებით უნდა მოვუაროთ. მივაღწიოთ მოსკოველთა ცხოვრების ახლანდელზე უკეთეს პირობებს. აქ არის ეკოლოგიის, მომსახურების სფეროს თუ ვაჭრობის საკითხები. ისინი ჯერჯერობით მოქალაქეთა სამართლიან პრეტენზიებს იმსახურებენ. მათი გაუმჯობესების საქმე კი ნელა მიიწევს წინ.

სადღესასწაულო კოლონებში ბევრია ისეთი, რომლებსაც საბჭოთა ადამიანები იცნობენ სპექტაკლებით, ფილმებით, ტელეგადაცემებით. ეს არც არის გასაკვირი. გარდაქმნამ თავის ორბიტაში მოაქცია ლიტერატურის, ხელოვნების სამყარო. მუზების მსახურნი დღეს მთელ ხალხთან ერთად აქტიურად მონაწილეობენ საზოგადოების ცხოვრების განახლებაში.

ჩვენი მორიგი თანამოსაუბრეა მოსკოვის კ. სტანისლავსკის სახელობის დრამის თეატრის ახალგაზრდა მსახიობი **ნატალია მილნიკოვა.**

— ახლა ისეთი დროა, — თქვა მან, — როცა პოლიტიკა, ეკონომიკა და კულტურა ერთ მთლიანობად გადაიქცა, ისინი განუყოფელია. პარტიის მოწოდება ვამდიდროთ გარდაქმნის ინტელექტუალური პოტენციალი, მიმართნია ადამიანის სულიერი სამყაროს სრულყოფის ამოცანად. თეატრს დიდი შესაძლებლობები აქვს ამისათვის. იგი ეხმარება ადამიანს ჩაიხედოს საკუთარ თავში, გაიაზროს თავისი საქციელი, თავისი დამოკიდებულება ცხოვრებისადმი. ყოველივე ამისაგან ხომ იბადება საქმეები, ქცევები, რომლებიც ხშირად გვაკლია ჩვენს ყოველდღიურობაში...

რამდენი საუბარი, შეხვედრა გაიმართა პირველი მაისის დღეს ქვეყნის მთავარ მოედანზე! საბჭოთა ადამიანები როცა იაზრებენ 1985 წლის გაზაფხულიდან 1989 წლის გაზაფხულამდე განვლილ გზას, ფიქრობენ და გულახდილად ლაპარაკობენ ყველფერზე, რაც მათ ახარებს და აწუხებს, აიმედებს და აშფოთებს. მაგრამ მთავარია, რომ ყოველ ასეთ საუბარში იგრძნობოდეს გულწრფელი ერთგულება ქვეყნის განახლების, სოციალიზმის საქმისადმი, მზადყოფნა მთელი ენერგია, მთელი ძალები მოახმარონ ყოველივე ამას. გარდაქმნა, თქვეს სტუდენტებმა და მუშებმა, მეცნიერებმა და სამხედრო მოსამსახურეებმა, ჩვენი საერთო არჩევანია, ჩვენი საერთო მიზანი და იმედია, სწორედ ჩვენ უნდა შევეცადოთ, რომ მისი შესაძლებლობები სრულად გამოვიყენოთ ადამიანების ბედნიერებისათვის. სხვა გზა არ გვაქვს.

მთავრდება მოსკოველთა სადღესასწაულო სვლა, რომელმაც ორ საათს გასტანა. დემონსტრანტთა ბოლო კოლონების კვალდაკვალ წითელ მოედანზე შემოდიან მედროშეები, მათ უკან მოჰყვებიან ფიზკულტურელები.

ფანფარები აუწყებენ დღესასწაულის დასკვნის ნაწილს. ამ დროს მთელ მოედანზე იწყება ასობით ნორჩი ტანმოვარჯიშისა და აკრობატის გამოსვლები. ისინი ქმნიან ლამაზ ცოცხალ ორნამენტებს. გრიგალივით დატრიალდა ცეცხლოვანი სპორტული ცეკვა. ეს ახალგაზრდობა ადიდებს განახლებისა და იმედის გაზაფხულს, მშვიდობას, პირველ მაისს.

წითელი მოედნიდან რეპორტაჟს უძღვებოდნენ სპეციალური კორესპონდენტები ვ. ბეზბარეძენი, ბ. გრიშჩენკო, მ. ზასარჩუკი, ს. სასხო, ა. სულდინი, ბ. შესტაკოვი, ვ. იანჩენკოვი.

სურათზე: საპირველმაისო დემონსტრაცია წითელ მოედანზე.

საკდეს-საქინფორმის ტელეფოტო.

ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛᲒᲔᲑᲛᲐ ᲓᲠᲝᲛ ᲨᲔᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲐ ᲙᲐᲠᲜᲐᲕᲐᲚᲘ

როგორც უკვე ვიუწყებოდით, თბილისის ტრაგიკულ მოვლენებთან, აგრეთვე აჭარის სტიქიურ უბედურებასთან დაკავშირებით, რომლებსაც მსხვერპლი მოჰყვა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება 1989 წლის 1-2 მაისს მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღის აღსანიშნავი სადღესასწაულო დემონსტრაციების ნაცვლად კრებები, მიტინგები, ვეტერანებთან შეხვედრები და სხვა ღონისძიებანი მოაწყოს უშუალოდ შრომითს კოლექტივებში. კრებები, მიტინგები და შეხვედრები გაიმართა მთელ რესპუბლიკაში. ადამიანები მოკლედ, საქმიანად ლაპარაკობდნენ ხალხის წინაშე წამოჭრილ პრობლემებზე, ჩვენი საზოგადოების ურთულესი პრობლემების გადაჭრის გზებზე.

ამ ღონისძიებებში მონაწილეობდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი გ. გ. გუმბარიძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრები და წევრობის კანდიდატები.

გადმოგცემთ ადგილებზე მომზადებულ რეპორტაჟებს.

ᲩᲔᲜᲘ ᲨᲠᲝᲛᲐ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲭᲘᲠᲓᲔᲑᲐᲗ

რთულ ვითარებაში შეეგებნენ ახლანდელ პირველ მაისს ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის განყოფილების მშრომელები. მგზისტრალის ამ წმყვანი ქვეგანაყოფის მრავალათასიანი ინტერნაციონალური კოლექტივი, ისევე როგორც მთელი საქართველო, მწვავედ განიცდის მთავრობის სახლის წინ 9 აპრილს დატრიალებულ ტრაგედიას, და მის კვალდაკვალ კიდევ ერთ უბედურებას — აჭარის მთებში სტიქიის აბობოქრებას. ამიტომ ჰქონდათ ასეთი შეწუხებული, სევდიანი, ჭკაცი გამომეტყველება იმათ, ვინც პირველ მაისს შეიკრიბა გზის განყოფილების კლუბში მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღის აღსანიშნავ მიტინგზე.

კოლექტივის აზრები და გრძნობები გამოხატეს სამეფრკავკასიის რკინიგზის თბილისის კვანძის პარტიული კომიტეტის მდივანმა ავთანდილ ენუქიძემ, რომელმაც გახსნა მიტინგი, თბილისის სამგზავრო სალოკომოტივო დეპოს მემანქანეებმა რომან დავითაშვილმა და გაიოზ იაკობიძემ, უფროსმა ინჟინერმა, ომისა და შრომის ვეტერანმა თამარ მიქაძემ, გაანალიზეს რა ქალაქსა და მთლიანად რესპუბლიკაში შექმნილი სიტუაცია, მათ განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრეს საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების საჭირბოროტო საკითხებს, ეკონომიკის, სოციალური სფეროს მტკივნეულ პრობლემებს. გამომსვლელები ისევე და ისევე უბრუნდებოდნენ 9 აპრილის ტრაგიკულ მოვლენებს და სვამდნენ კითხვებს, რომელთა არსი ერთია — როგორ შეიძლებოდა ასეთი რამ მომხდარიყო. ვის აძლევს ეს ხელს? მიტინგის მონაწილეებმა ერთსულოვნად გამოთქვეს აზრი, რომ მომხდარმა ამბავმა ლაჯარი ჩასცა გარდაქმნას; მათ შრომითს კოლექტივებს, ინტელიგენციას, ახალგაზრდობას მოუწოდეს ერთიანობისა და შეკავშირებისათვის, მათი პასუხისმგებლობის გადიდებისათვის, განაცხადეს, რომ უნდა მოხდეს მოსახლეობის ყველა ფენის კონსოლიდაცია დემოკრატიისა და საჯაროობის პრინციპების განმტკიცებისათვის ბრძოლაში. ამის შესახებ ილაპარაკა მიტინგზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა გ. გ. გუმბარიძემაც, ხაზგასმით აღინიშნა, რომ მხოლოდ ყველასა და თითოეულის ძალისხმევით შეიძლება დაეძლიოთ საბოლოოდ კრიზისული სიტუაცია, მიეაღწიოთ მორალურ-პოლიტიკური კლიმატის გაჯანსაღებას ქალაქში და რესპუბლიკაში. აქ კი უაღრესად საჭიროა სიფხიზლე და სიმშვიდე, ყოველივე მომხდარის ღრმა და საფფეძვლიანი „ანაზრება“, კონსტრუქციული მიდგომა განახლების ძნელ გზაზე ჩვენი ხალხის ეკონომიკური და სულიერი ცხოვრების მომწიფებული პრობლემების გადაჭრისადმი.

ხანმოკლე იყო მიტინგი საწარმოო გაერთიანება „ბახტრიონში“. არ ყოფილა აქ არც სპეციალურად მომზადებული მიმართვები, არც სიტყვამრავალი კამათი. გაერთიანების კოლექტივს შეგნებული აქვს, რომ რესპუბლიკის რთულ პოლიტიკურ სიტუაციაში მომწიფებული პრობლემების გადაჭრამ მშრომელები არ უნდა მოწყვიტოს მათ უშუალო საქმეს.

კრების გახსნისას პარტიული ორგანიზაციის მდივანმა დალი დიდებულიძემ აღნიშნა, რომ საწარმომ გამომუშავებული ფულის ნაწილი — 19 ათასი მანეთი — გადარიცხა აჭარაში სტიქიური უბედურებით დაზარალებულთა დახმარების ფონდში. დღესაც, როგორც არასდროს, საჭიროა სიფხიზლე, აწონ-დაწონვა, ზრუნვა რესპუბლიკის სიმშვიდის, ხვალინდელი დღისათვის. ეს მხოლოდ და მხოლოდ საქმით უნდა დავამტკიცოთ, რადგან სიტყვებს რაოდენ სამართლიანი და ემოციურიც უნდა იყოს ისინი, არ ძალუძთ მისი შეცვლა.

ეს აზრი გამოთქვა თავის გამოსვლაში გაერთიანების ქალთა საბჭოს თავმჯდომარემ, კონტროლიორმა ფატი მეავანაძემაც. საქართველო მგლოვიარეა, თქვა მან, მაგრამ ცხოვრება თავისას მოითხოვს, ეს კი ნიშნავს, რომ დღეს თითოეული მუშაკის შრომა სჭირდება არა მარტო მას, არამედ მთელ რესპუბლიკასაც. თითოეულის პირადი დისციპლინა და პასუხისმგებლობა საუკეთესო წვლილია ვითარების სტაბილიზაციის საქმეში.

— პირველი წელი როდია, რაც გაერთიანებაში ვმუშაობ, — თქვა შემდეგ სამკერვალო საამქროს მუშამ ლალი გიგიტაშვილმა. — ჩვენი კოლექტივი მრავალეროვანია. საკმარისია დაიაროთ საამქროები და ნახავთ, როგორ მუშაობენ მხარდამხარ ქართველები და რუსები, ოსები, ქურთები, უკრაინელები. არაერთხელ შევგებებივართ 1 მაისის დღესასწაულს მშრომელთა დემონსტრაციის დროს ერთ კოლონაში ჩამწკრივებულები. დღეს საქართველო მას გლოვით შეხვდა. საქართველოს ტკივილი ახლა საერთო ტკივილი გახდა. ყველა ეროვნების ადამიანები მოუთმენლად ელიან სპეციალური კომისიის მუშაობის შედეგებს, სამართლიანობის დამკვიდრებას, სიტუაციის გაუმჯობესებას რესპუბლიკაში. „ბახტრიონის“ გაერთიანების კოლექტივმა გადაწყვიტა ერთი სამუშაო დღის მთელი გამომუშავება დაარიცხოს აჭარაში სტიქიისაგან დაზარალებულთა დახმარების ფონდში, აგრეთვე შეძლებისადაგვარად წვლილი შეიტანოს 9 აპრილს დატრიალებული ტრაგედიის მსხვერპლთა ძეგლის აღმართვაში.

თბილისის კამვოლ-მაუდის კომბინატმა „საბჭოთა საქართველომ“ სახელი გაითქვა თავისი ტრადიციებით, თავისი მშრომელთა სახელებით. კოლექტივი წარმატებით ასრულებს მიმდინარე წლის გეგმებსაც, მიღწეულია მაღალი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები ყველა უმნიშვნელოვანესი პარამეტრის მიხედვით.

მაგრამ მუშებმა გადაწყვიტეს: დღესასწაულობის დრო არ არის, როცა რესპუბლიკას უჭირს, როცა მწუხარება და უბედურება დაგვტყდა თავს. უშრომლია მთელი კოლექტივი შეიკრიბოს, იმსჯელოს, რისი გაკეთება შეიძლება საყვარელი ქალაქისათვის, აჭარის მთებში სტიქიით დაზარალებულთათვის.

აქ გამართულ მიტინგზე კომბინატის ყველა მშრომელის სახელით შრომითი კოლექტივის საბჭოს თავმჯდომარემ მელიტა რევაზიშვილმა ილაპარაკა, რომ სოლიდარობენ დაზარალებული მთის სოფლების მცხოვრებთ, მზად არიან დეხმარონ მათ და მხარი დაუჭირონ.

— დღეს რესპუბლიკას განსაკუთრებით სჭირდება ჩვენი ერთიანობა, მტკიცე მუშური სიტყვა, ვაჟკაცობა, — თქვა მან. — თბილისში მომხდარმა ამბაზწინანდელმა მოვლენებმა ცხადყო, რომ წარსულს ვეღარ დავუბრუნდებით. მაგრამ ცხოვრება ერთ ადგილზე არ დგას, ოგი გვისახავს ახალ, ზოგჯერ ძნელად გადასაჭრელ, მტკივნეულ პრობლემებს, მწვავე საკითხებს. მათ ვერ გადავჭრით, თუ არ გვექნება მტკიცე აქტიური პოზიცია, აქტიურად თუ არ ვიმოქმედებთ. როგორც მ. ს. გორბაჩოვმა თავის ამასწინანდელ ერთ-ერთ გამოსვლაში თქვა, დროა ხელი მოვკიდოთ კონკრეტულ საქმეებს.

სრული შემადგენლობით შეიკრიბა მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღისადმი მიძღვნილ მიტინგზე, თბილისის საფეიერო-საგალანტერეო ფაბრიკის „კომკავშირელის“ კოლექტივი. მაგრამ მასზე არ ისმოდა ჩვეული გამაჯავრების მაუწყებელი პატაკები და ანგარიშები. მუშები შეიკრიბნენ აქ პირველი მაისის წინ, რათა გამოეხატათ თავიანთი თანადგომა ყველა იმასთან, ვინც რესპუბლიკისათვის ამ ძნელ დღეებში თავისი შრომით ხელს უწყობს ვითარების ნორმალიზაციას, ტრაგიკული მოვლენების შედეგების ლიკვიდაციას.

სიტყვას წარმოთქვამს სსრ კავშირის სახალხო დეპუტატი, ბრიგადირი — შქარგავი ვიოლეტა ზორინი:

— მძიმე გაზაფხული დაუდგა ახლა საქართველოს, — თქვა მან. — რესპუბლიკამ ვერ მოასწრო გონს მოსულიყო პირველი დარტყმისაგან, რომ მას მოჰყვა მეორე, არანაკლებ მძიმე. დაიღუპნენ ადამიანები აჭარის მთებში, ათასობით ოჯახი უსახლკაროდ დარჩა. რით შეიძლება ვუპასუხოთ ბედის ამ უკუღმართობას, უსამართლობას ჩვენ, მუშებმა? მხოლოდ შრომით, ყოველდღიური, დაძაბული, შეუპოვარი შრომით. დაე იცოდნენ მთიანი აჭარის მცხოვრებლებმა რომ დღეს მიტინგზე შეკრებილები სოლიდარობას ვუცხადებთ უწინარეს ყოვლისა მათ. დღედაღამეს გავასწორებთ, არ შევუშინდებით არავითარ საქმეს, რათა დავეხმაროთ მათ.

თავის დეპუტატს მხარი დაუჭირეს ჭკერავმა ქეთევან ეფრემიძემ, ცვლის ოსტატმა ელენე შოტალაშვილმა, ფაბრიკის სხვა მშრომელებმა.

გულგრილი არავინ დარჩენილა თბილისის ფეხსაცმლის საწარმოო გაერთიანება „ისანში“ გამართულ მიტინგზე. 14 ეროვნების წარმომადგენლები შრომობენ აქ მხარდამხარ და ყველამ მხურვალედ დაუჭირა მხარი შრომითი კოლექტივის საბჭოს თავმჯდომარის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის დალი თევდორაშვილის გამოსვლას. იმიტომ, რომ მან ხმამაღლა გამოთქვა აზრები, რომლებიც ამ დღეებში დაებადა ყოველ მუშაკაცს.

რა უნდა გავაკეთოთ, როგორ მოვიქცეთ, რომ შევუმსუბუქოთ სამშობლოს, ჩვენს ხალხს ისტორიის ეს მძიმე პერიოდი? რითი დავეხმაროთ? პასუხი ამ კითხვებს თვით მუშებმა გასცეს.

მღარავმა ირაკლი ამირგულაშვილმა წინადადება წამოაყენა აჭარის დახმარების ფონდში გადარიცხონ 15 ათასი მანეთი. გარდა ამისა, მან მოუწოდა შეკრებილთ ამ თანხას დაუმატონ გაერთიანების მშრომელთა ერთი დღის ხელფასი. მას მხარი დაუჭირა მთელმა კოლექტივმა.

— ზაფხული ახლოვდება, — თქვა შემდეგ გამომჭრელმა რაფაელ შახბაზიანმა. — სად გაატარებენ მას აჭარის დაზარალებული რაიონების ბავშვები? ისინი ჩვენი ფოლადაურის პიონერთა ბანაკში მივიწვიოთ. 200 ბავშვი დაისვენებს, გონს მოვა განცდილისაგან, გაიკაჟებს ჯანმრთელობას. დაე, იგრძნონ, თუ რა არის მუშების მხარდაჭერა.

იმის შესახებ მოსაზრებებით, თუ როგორი საოჯახო ბანკი უნდა მოუტანონ სამშობლოს, კონკრეტული წინადადებების წამოყენებით ჩაიარა ამ მიტინგმა.

მიტინგს, რომელიც გაიმართა თბილისის კერამიკის კომბინატში, სადღესასწაულოს ვერ უწოდებს კაცი. კოლექტივს არ სცალია მილოცვებისა და ხალისიანი ღიმილისათვის. 600 კაცი შეიკრიბა პირველი მაისის წინ, რათა განეხილათ რესპუბლიკაში შექმნილი სიტუაცია, განესაზღვრათ თავიანთი ადგილი შექმნილ პირობებში, თავიანთი დანიშნულება.

მიტინგის გახსნისას საწარმოს პარტბიუროს მდივანმა მანანა აბაუთიძემ თქვა, რომ ბოლო თვეს მომხდარმა მოვლენებმა აიძულა ყოველი მათგანი ახლებურად შეეხედა საკუთარი თავისა და სხვებისათვის. მევირალა და წყალწყალა ფრაზები სამუდამოდ ჩაბარდა წარსულს. მარტო სამქმე, კონკრეტული, ზუსტად გამოხატული პოზიცია სჭირდებათ ახლა ადამიანებს. მან თავის კოლექტივს წინადადებით მიმართა მატერიალური დახმარება გაუწიონ აჭარაში სტიქიური უბედურებისაგან დაზარალებულს, აგრეთვე გადარიცხონ სახსრები 9 აპრილის მსხვერპლთა მემორიალის აგებისათვის.

აქვე გამოიანგარიშეს საწარმოს შესაძლებლობანი. მუშა სიმონ კონტრიძემ გამოუცხადა შეკრებილთ, რომ ორივე მიზნისათვის გადაირიცხება ხუთ-ხუთი ათასი მანეთი.

ᲡᲝᲮᲣᲛᲘ. სოხუმის საზღვაო ნავსადგურის ყველა საწარმოო ქვეგანაყოფში პატივი მიაგეს წინასამაისო სოციალისტური შეჯიბრების მოწინავეებს — იმათ, ვინც თავისი შრომით ყველაზე დიდი წვლილი შეიტანა მრავალეროვანი კოლექტივის მიერ ოთხი თვის დაავალების ვადამდე შესრულებაში. გემთსარემონტო სახელოსნოებში, გრუზოვის რაიონში ნავსადგურის ფლოტში გაიმართა საზეიმო მიტინგები, რომლებზეც წაიკითხეს სსრ კავშირის საზღვაო ფლოტის სამინისტროს და საქართველოს საზღვაო სანაოსნოს მოსალოცი დეპეშები. ამ ქვეგანაყოფების ახალ პირობებში მომუშავე სამეურნეოანგარიშიანმა ბრიგადებმა გადაზიდეს 15 ათასი ტონა სახალხო-სამეურნეო ტვირთი, აგრეთვე შეასრულეს ფასიანი მომსახურების გაწევისა და მგზავრთა გადაყვანის დავალება. საკადრო ნავსადგურის მუშაკები — გემმთარემონტეების ბრიგადირის გოლერძი სხირტლაძის, თბმოვლების კაპიტნების ლევან კობაიძისა და სლავიკ ხარჭილის ინიციატივით საზღვაო ნავსადგურში დაიწყო შეჯიბრები საზიფხულო ნავიგაციისათვის სანმოშო მომზადების მიზნით. ზუსტად გრაფიკის მიხედვით მიმდინარეობს პროფილაქტიკური რემონტის შემდეგ სამგზავრო კატარღების წყალში ჩაშვება და სოხუმის, გაგრის, ბიჭვინთის, ახალი ათონის ნავსადგურ-პუნქტების ნავმისაბმელების რემონტი. მუშათა სამაისო შეკრებები გაიმართა აფხაზეთის ქალაქებისა და სოფლების ბევრ შრომითს კოლექტივში.

ᲑᲐᲗᲣᲛᲘ. დღისითა თუ ღამით, ზამთარში თუ ზაფხულში, ზვრთასაჭრელს მიღმა ღელვაა ან შტორმი ბობოქრობს — ინტენსიურად ცხოვრობს აქაური საზღვაო ნავსადგური. მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღესაც აქ მუშაობაა გაჩაღებული. ლიბერიის ბალკარს „არგუს ექსპლორერს“ ამუშავებს კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადა ზურაბ ზაქარაძის ხელმძღვანელობით. დღეს - გამომუშავებული ფული დოკერ-მექანიზატორების გადაწყვეტილებით გადაირიცხება მთიანი აჭარის სტიქიური უბედურებისაგან დაზარალებულთა დახმარების ფონდში.

გვერდით არის საბჭოთა გემი „იონ სოლტისი“. მას ამუშავებს წარჩინებულ დოკერ-მექანიზატორის ნოდარ წულუკიძის ბრიგადა. მუშაობა მიმდინარეობს გრაფიკის გასწრებით. ტვირთის გადამუშავების აპრილის გეგმა ნავსადგურის მუშაკებმა მაინც 135 პროცენტით შეასრულეს. გადამუშავებულია 188 ათასი ტონა სახალხო-სამეურნეო ტვირთი, რაც შეადგენს მეორე კვარტალის დავალების თითქმის ნახევარს.

ᲒᲐᲠᲓᲐᲥᲛᲜᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲘ



სურათზე: თბილისი, სახტუმრო „ევერია“.

საქინფორმის ფოტო.

ნავსადგურის სატვირთო რაიონში გაიმართა მიტინგი, რომელიც შესავალი სიტყვით გახსნა საამქროს პარტორგანიზაციის მდივანმა ანა ალოიანმა. მიტინგის მონაწილეებმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს თბილისში 9 აპრილს უდანაშაულოდ დაღუპულებისა და მთიანი აჭარის სტიქიური უბედურების მსხვერპლთა ხსოვნას.

მიტინგზე გამოვიდა ნავსადგურის სატვირთო რაიონის უფროსი მერაბ კუტუბიძე. მან თქვა, რომ სტიქიისაგან დაზარალებულთა ფონდში ნავსადგურის კოლექტივმა უკვე გადარიცხა 12,5 ათასი მანეთი და ბათუმის ნავსადგურის მუშაკთაგან ფონდში გადარიცხვა გრძელდება. პირველი საჭიროებისთანავე ნავსადგური მზად არის მთიან აჭარაში გაგზავნოს ადამიანები სტიქიის შედეგების ლიკვიდაციისათვის.

ᲡᲝᲮᲣᲛᲘ. სოხუმის საზღვაო ნავსადგურის ყველა საწარმოო ქვეგანაყოფში პატივი მიაგეს წინასამაისო სოციალისტური შეჯიბრების მოწინავეებს — იმათ, ვინც თავისი შრომით ყველაზე დიდი წვლილი შეიტანა მრავალეროვანი კოლექტივის მიერ ოთხი თვის დავალების ვადამდე შესრულებაში. გემთსარემონტო სახელოსნოებში, გრუზოვის რაიონში ნავსადგურის ფლოტში გაიმართა საზეიმო მიტინგები, რომლებზეც წაიკითხეს სსრ კავშირის საზღვაო ფლოტის სამინისტროს და საქართველოს საზღვაო სანაოსნოს მოსალოცი დეპეშები. ამ ქვეგანაყოფების ახალ პირობებში მომუშავე სამეურნეოანგარიშიანმა ბრიგადებმა გადაზიდეს 15 ათასი ტონა სახალხო-სამეურნეო ტვირთი, აგრეთვე შეასრულეს ფასიანი მომსახურების გაწევისა და მგზავრთა გადაყვანის დავალება. საკადრო ნავსადგურის მუშაკები — გემმთარემონტეების ბრიგადირის გოლერძი სხირტლაძის, თბმოვლების კაპიტნების ლევან კობაიძისა და სლავიკ ხარჭილის ინიციატივით საზღვაო ნავსადგურში დაიწყო შეჯიბრები საზიფხულო ნავიგაციისათვის სანმოშო მომზადების მიზნით. ზუსტად გრაფიკის მიხედვით მიმდინარეობს პროფილაქტიკური რემონტის შემდეგ სამგზავრო კატარღების წყალში ჩაშვება და სოხუმის, გაგრის, ბიჭვინთის, ახალი ათონის ნავსადგურ-პუნქტების ნავმისაბმელების რემონტი. მუშათა სამაისო შეკრებები გაიმართა აფხაზეთის ქალაქებისა და სოფლების ბევრ შრომითს კოლექტივში.

ᲑᲐᲗᲣᲛᲘ. დღისითა თუ ღამით, ზამთარში თუ ზაფხულში, ზვრთასაჭრელს მიღმა ღელვაა ან შტორმი ბობოქრობს — ინტენსიურად ცხოვრობს აქაური საზღვაო ნავსადგური. მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღესაც აქ მუშაობაა გაჩაღებული. ლიბერიის ბალკარს „არგუს ექსპლორერს“ ამუშავებს კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადა ზურაბ ზაქარაძის ხელმძღვანელობით. დღეს - გამომუშავებული ფული დოკერ-მექანიზატორების გადაწყვეტილებით გადაირიცხება მთიანი აჭარის სტიქიური უბედურებისაგან დაზარალებულთა დახმარების ფონდში.

გვერდით არის საბჭოთა გემი „იონ სოლტისი“. მას ამუშავებს წარჩინებულ დოკერ-მექანიზატორის ნოდარ წულუკიძის ბრიგადა. მუშაობა მიმდინარეობს

რას ფიქრობს ხალხი

სტრიქონები რედაქციაში შემოსული გარათეგიდან

რედაქციაში გამოგზავნილი უამრავი წერილის მთავარ თემად კვლავ და კვლავ 9 აპრილის ტრაგედია რჩება.

თუმცა რა გასაკვირია: იმ სახელისწერო დღეს მომხდარი ამბავი ხომ სამარადუამო იარად დაჰნდება ერის სულს...

„ბატონო ვახუშტი (ამ წერილის ავტორი, 13 წლის გოგონა ჩვენს ცნობილ მოღვაწეს ვახუშტი კოტეტიშვილს მიმართავს — რედ.). ერთი სიკვდილი მაშინ გავთავე, როცა 9 აპრილის ტრაგედია შევიტყე, მეორე მაშინ, როცა თქვენი დაღუპვის ხმა გავარდა...

არ ვიცი ახლა რა უნდა ვქნათ და რა გზას დავადგეთ.

თუ რამ მანუგეშებს, პირველყოვლისა ის, რომ პირადად თქვენ ერთ-ერთი პირველი იყავით მათ შორის, ვინც პრესის საშუალებით მართალი სიტყვა უთხრა ქვეყანას. ისევ და ისევ თქვენ და თქვენისთანა ღირსეული მამულიშვილების იმედი გვაქვს ახალთაობას. თქვენ კი გჯეროდეთ, რომ უმცროსებიც მუდამ ერთგულად ამოგიდგებიან მხარში.

მე, ეროვნებით, სისხლით და ხორცით ქართველს, რუსული სკოლის მოსწავლეს, ეროვნული თვითშეგნების ასე მძლავრმა გამოღვიძებამ, თითქოს უნებურად დაკარგული სამშობლო დამიბრუნა.

რა ძნელი, რა ტკივილიანი, მაგრამ ამავე დროს რა დიდი ბედნიერების მომგვრელი ყოფილა იმის შეგნება, რომ შენ საქართველოს ღვიძილი შვილი ხარ, მისი არსებობის, მისი მარადისობის თუნდაც ერთი უმცირესი, მაგრამ განუყოფელი ნაწილი.

ღრმად მწამს ჩემი სამშობლოს ნათელი ხვალინდელი დღისა...“

ხატია გუდუმაძე,
თბილისის 138-ე საშუალო სკოლის მოსწავლე.

„ახალგაზრდებო, შვილებო, მე ერთი უბრალო პროფესიის კაცი ვარ და სულაც არა მაქვს პრეტენზია ვინმეს შეგონებები ვუკითხო, მაგრამ დუმილიც ვერ შევძელი ამ მძიმე დღეებში.

მერწმუნეთო, ჩემს სიცოცხლეში პირველად ვწერ წერილს რედაქციას იმიტომ, რომ მინდა უპირველესად თქვენ მოგმართოთ, სიბრძნისა და მოთმინებისაკენ მოგიწოდოთ, შეგახსენოთ, რამდენი ჭირ-ვარამი გადაუტანია ჩვენს ერს, მაგრამ გული არასოდეს გაუტეხავს: ათასჯერ აჩეხილი ვენახი ისევ ჩაუყრია, დანგრეული ტაძართა კედლები ისევ და ისევ აღუდგენია...“

ჟორჟ ბალავაძე,
თბილისის №4 ავტოსატრანსპორტო საწარმოს ბრიგადირი.

„დღემდე 9 აპრილის ტრაგედიის შესახებ იმდენი ითქვა და დაიწერა, რომ თითქოს სათქმელი არაფერი დარჩა, მაგრამ ახლა, როდესაც ემოციურმა სტრესმა ნაწილობრივ გადაიარა, საჭიროა შევეცადოთ გონების თვალით შევაფასოთ მომხდარი ამბები.

9 აპრლის ტრაგედია იყო უდიდესი შეცდომისა და დანაშაულის შედეგი; შეცდომა იმათი მხრიდან, ვინც ვერ გაითვალისწინა საგანგებო ნაწილების შემოყვანისა და კომენდანტის საათის შემოღების სავალალო შედეგები, ხოლო ნამდვილი დანაშაული იყო იმათი მხრიდან, ვინც ასეთი ბარბაროსული მეთოდებით, აშკარა ცინიზმით გაუსწორა ანგარიში მშვიდობიან მომიტინგეებს.

მდგომარეობა კიდევ უფრო გაამწვავა საკავშირო პრესისა და ტელევიზიის არასწორმა ინფორმაციამ.

დაბოლოს, დღეს უკვე ყველასათვის ცხადია, რომ აუცილებლობით არ იყო გამოწვეული საგანგებო რეჟიმის შემოღება და დამატებითი მსხვერპლის პოტენციური შესაძლებლობის შექმნა, რაც სამწუხაროდ, კიდევ ერთი ახალგაზრდის სიცოცხლედ დაგვიჯდა.

როგორც პარტია მოგვიწოდებს, უნდა შევქმნათ სამართლებრივი სახელმწიფო, დემოკრატიზაციისა და საჯაროობის პროცესი საბოლოო და უკუქცევადია. მაშ, ვიყოთ ბოლომდე თანამიმდევრული და ყველაფერს თავისი სახელი დავარქვათ...“

გურამ გოგია,
საქართველოს ხალხური ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის დირექტორი.

„ეროვნებით უკრაინელი ქალი ლამის უკვე ოცდაათი წელია თბილისში ვცხოვრობ. ამ ხნის განმავლობაში არ მახსოვს არამც თუ რაიმე მწვავე ინციდენტი, მცირე უსიამოვნებაც კი მომხდარიყოს ეროვნულ ნიადაგზე.

და აი, 9 აპრილის ტრაგედია!

დაიღუპნენ უდანაშაულო ადამიანები, უმრავლესობა გოგონები და ქალები. აღარ ვიცი, რით ვანუგეშო ჩემი ქართველი მეგობრები, მეზობლები.

ნუთუ ასეთი სისასტიკის ჩადენა შეუძლია ჩვენს საბჭოთა ჯარისკაცს, მერედა, ვის უპირისპირდება იგი: თავის მშობელ ხალხს!

არმიაში ხომ ერთად მსახურობენ ჩვენი შვილები: რუსები, ქართველები, უკრაინელები, კიდევ მრავალი სხვადასხვა ეროვნების ახალგაზრდა. რა ვუთხრათ მათ, განა რაიმე მიზეზით შეიძლება ასეთი წარმოუდგენელი სისასტიკის გამართლება!

იმედი მაქვს, სიმართლე უთუოდ გაირკვევა და დამნაშავენი სასჯელს ვერ აიცილებენ, ჩვენ კი, სხვადასხვა ეროვნების ადამიანებს, როგორც არასდროს, ისე გვჭირდება ურთიერთგაგება და ურთიერთმხარდაჭერა.

ახლობელი ხომ პირველყოვლისა გაჭირვებაში შეიცნობა.

ქართველო დედებო, დებო, მეგობრებო, გჯეროდეთ თქვენს უსაზღვრო მწუხარებას მძიმედ განიცდით ყველანი, ვისაც თქვენ ასე წრფელად და უშურველად უწილადეთ თქვენი სიფიცარი სამშობლოს მზისა და მიწის, საკუთარი გულის სითბო.

გვიყვარდეს ერთმანეთი. იგი უთუოდ დაგვეხმარება ყველაზე ნათელი იდეალების ხორცშესხმაში!“

ნ. ი. სოლომინსკაია,
საქართველოს მეფუტკრეობის გაერთიანების ეკონომისტი.

* * *

თავის უდიდეს აღშფოთებას მომხდარი ტრაგედიის გამო გამოთქვამს საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროს რესპუბლიკური კანტორის 84 თანამშრომელი.

ასეთივე სულისკვეთებით არის გამსჭვალული თბილისის მართვის სისტემის ინსტიტუტიდან გამოგზავნილი, კოლექტიური წერილი, რომელსაც ხელს აწერს 187 კაცი.

• მომხდარი ტრაგედიის მიზეზთა ობიექტურ გამოძიებასა და დამნაშავეთა უმკაცრესად დასჯას მოითხოვენ აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის, სახალხო მეურნეობის ეკონომიკის, დაგეგმვისა და მართვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის, „საქსახპროექტის“, ქუთაისის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ხაკავადმყოფოს თანამშრომლები, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის სამეცნიერო საბჭოს წევრები...

ულტიმატუმი

საკვირველი 2 მაისი

პირველგვერდზე

ვარშავა. მრავალთანაარსიანი საპირველმაისო მიტინგი გაიმართა ვარშავის ცენტრში — გამარჯვების მოედანზე. მასში მონაწილეობდნენ მუშათა მოძრაობის ვეტერანები, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიისა და ქვეყნის მთავრობის ხელმძღვანელები, პარტიისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების; შრომითი კოლექტივების წარმომადგენლები.

როგი. მხარს ეუბერთ მშრომელთა ინტერესებისათვის ეკონომიკური განვითარებას, დასაქმების უზრუნველყოფასა და გარემოს დაცვას —ასეთი ლოზუნგებით ჩაიარა ვენეციაში მშრომელთა სოლიდარობის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით მრავალთასიანმა მანიფესტაციამ, რომელიც მოაწყო ქვეყნის სამმა უდიდესმა პროფგაერთიანებამ — იტალიის შრომის საყოველთაო კონფედერაციამ, იტალიის მშრომელთა პროფკავშირების კონფედერაციამ და იტალიის შრომის კავშირმა.

ტოკიო. მძლავრი მანიფესტაციებითა და მასობრივი მიტინგებით შეეგებენ პირველ მაისს იაპონელი მშრომელები. ტოკიოსა და იაპონიის სხვა დიდი ქალაქების ქუჩებში დემონსტრანტთა მრავალთასიანი კოლონები გამოვიდნენ ალიფერი დროშებითა და ტრანსპარანტებით, ლოზუნგებით, რომლებიც მოუწოდებენ მშრომელებს გაერთიანდნენ ქვეყნის მოსახლეობის ფართო ფენების საარსებო ინტერესებზე მმართველი წრეების შეტევის წინააღმდეგ ბრძოლაში.

დაახლოებით 230 ათასმა კაცმა მიიღო მონაწილეობა ტოკიოს გარეუბნის ტაცუნომორის პარკში გამართულ საპირველმაისო დემონსტრაციაში, რომელიც მოეწყო იაპონიის კომუნისტური პარტიის ინიციატივით.

მასპრუ. სამხრეთ აფრიკის ისტორიაში პირველად მშრომელებმა დაუფარავად აღნიშნეს 1 მაისი. წელს მუშათა მოძრაობის მძლავრი ზეგავლენით სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მთავრობა იძულებული იყო პირველი მაისი სადღესასწაულო დღედ ეღიარებინა.

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქში ორი უდიდესი პროფკავშირული გაერთიანების — სამხრეთ აფრიკის პროფკავშირების კონგრესისა და სამხრეთ აფრიკის პროფკავშირების ეროვნული საბჭოს მოწოდებით გაიმართა მშრომელთა მიტინგები და დემონსტრაციები.

ბონი. ბონის ოპოზიციით დიდად უკმაყოფილოა ვაშინგტონი, მაგრამ სურს საქმე ისე წარმოადგინოს, რომ არ დაიბარონ „გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაზე ძლიერი ზემოქმედების“ მცდელობა, „დეილი ტელეგრაფს“ მოჰყავს ლეიბორისტული პარტიის „სათადარიგო კაბინეტის“ თავდაცვისა და განიარაღების საკითხებში ოფიციალური წარმომადგენლის მ. ონილის სიტყვები, რომელმაც მ. ტეტჩერს დაბრალა ის, რომ იგი ერთადერთი ლიდერია ევროპის სახელმწიფოებს შორის, რომელსაც არ სურს მიაღწიოს პროგრესს შეიარაღების შემცირების საკითხში. მისი ერთგულება ბირთვული შეიარაღების მოდერნიზაციისადმი ლეიბორისტმა შეაფასა როგორც „დიდი დაბრკოლება ვენის მოლაპარაკების წარმატების გზაზე“.

ბონი. მ. კოლისა და მ. ტეტჩერის მოლაპარაკების **„სარაკეტო დავა“ გრძელდება — მხარეებმა ვერ მიაღწიეს პოზიციათა დაახლოებას.** დიდი ბრიტანეთის მიდგომა „ლანს“ რაკეტების მოდერნიზაციისადმი წინადებერი დარჩა, განაცხადა ცდფ საგანგებომ. მ. ტეტჩერი კვლავ მოითხოვს ამ საკითხის სასწრაფოდ გადაწყვეტას. დასავლეთ გერმანია კი, როგორც ცნობილია, მხარს უჭერს მოდერნიზაციის პრობლემის საბოლოო გადაწყვეტის ვადის გადატანას 1992 წლისათვის და მოლაპარაკების დაუყოვნებლივ დაწყებას ვარშავის ხელშეკრულების ქვეყნებთან ტაქტიკური ბირთვული რაკეტების თაობაზე. ბონის თვალსაზრისს იზიარებენ ბელგია, დანია და იტალია.

● ინფორმაციული ფრაგმენტი

„სარაკეტო დავის“ გრძელდება

ლონდონი. **ინგლისის გაზეთები ფართოდ განმარტავენ დასავლეთ გერმანიის ქალაქ დაიდესჰაიმში გამართულ მოლაპარაკებას გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერ ჰ. კოლსა და დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრ მ. ტეტჩერს შორის.**

„მოლაპარაკება ჩიხში მოექცა, და კრიზისი ნატოში ბირთვული შეიარაღების პრობლემის თაობაზე ღრმავდება“, — ასე აფასებს მოლაპარაკების შედეგებს „დეილი ტელეგრაფი“. „იშვიათად მომხდარა, რომ კანცლერთან შეხვედრასას მ. ტეტჩერი ესოდენ შებოჭილი და გაბრაზებული ყოფილიყო, — წერს გაზეთი, — იგი არც ცდლა გაღიზიანების დაფარვას: პრესკონფერენციაზე მიმავალ მეტ ყურადღებას უთმობდა ქალაქის ბუგრგმისტს, და, როგორც ჩანს, ამით გამოხატავდა თავის უთანხმოებას კოლთან“.

„ტაიმსი“ წერს, რომ ბონის პოზიციით დიდად უკმაყოფილოა ვაშინგტონი, მაგრამ სურს საქმე ისე წარმოადგინოს, რომ არ დაიბარონ „გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაზე ძლიერი ზემოქმედების“ მცდელობა, „დეილი ტელეგრაფს“ მოჰყავს ლეიბორისტული პარტიის „სათადარიგო კაბინეტის“ თავდაცვისა და განიარაღების საკითხებში მ. ონილის ოფიციალური წარმომადგენლის მ. ონილის სიტყვები, რომელმაც მ. ტეტჩერს დაბრალა ის, რომ იგი ერთადერთი ლიდერია ევროპის სახელმწიფოებს შორის, რომელსაც არ სურს მიაღწიოს პროგრესს შეიარაღების შემცირების საკითხში. მისი ერთგულება ბირთვული შეიარაღების მოდერნიზაციისადმი ლეიბორისტმა შეაფასა როგორც „დიდი დაბრკოლება ვენის მოლაპარაკების წარმატების გზაზე“.

ბონი. **მ. კოლისა და მ. ტეტჩერის მოლაპარაკების უყრადღებების ცენტრში იყო, თქვა არდ ტელეპროგრამის წამყვანმა, ტაქტიკური ბირთვული რაკეტების მოდერნიზაციის საკითხი. როგორც მოსალოდნელი იყო, „სარაკეტო დავა“ გრძელდება — მხარეებმა ვერ მიაღწიეს პოზიციათა დაახლოებას.** დიდი ბრიტანეთის მიდგომა „ლანს“ რაკეტების მოდერნიზაციისადმი წინადებერი დარჩა, განაცხადა ცდფ საგანგებომ. მ. ტეტჩერი კვლავ მოითხოვს ამ საკითხის სასწრაფოდ გადაწყვეტას. დასავლეთ გერმანია კი, როგორც ცნობილია, მხარს უჭერს მოდერნიზაციის პრობლემის საბოლოო გადაწყვეტის ვადის გადატანას 1992 წლისათვის და მოლაპარაკების დაუყოვნებლივ დაწყებას ვარშავის ხელშეკრულების ქვეყნებთან ტაქტიკური ბირთვული რაკეტების თაობაზე. ბონის თვალსაზრისს იზიარებენ ბელგია, დანია და იტალია.

ტელეტაიპის ლენტიდან

● ვარშავა. **პოზნანში გახსნილი ორი გამოფენის ორგანიზატორებმა დაიახეს კეთილშობილური მიზანი — გაიფართოონ გარეშოს დაცვისათვის საერთაშორისო თანამშრომლობის მასშტაბები. პოლონეთისა და საბჭოთა კავშირის 66 ფირმამ ფართოდ წარმოადგინეს „პოლიეკოს“ და „ენვირომეხის“ გამოფენებზე უნარჩენო ტექნოლოგიური ხაზები და უახლოესი გადაწყვეტანი ბიოტექნოლოგიის სფეროში.**

უჩვენებენ აგრეთვე მიღწევებს ეკოლოგიური ცოდნის პროპაგანდის დარგში, დიაგნოსტიკურ-გასაზომ აპარატურას.

● ბარბადოსი. **ვენესუელის მშრომელთა კონფედერაციამ, რომელმაც აქ დაამთავრა რიგგარეშე კონგრესი, მთავრობას მიმართა მთელი რიგი კონკრეტული წინადადებებით, რომელთა მიზანია გამოიყენონ ქვეყანა კრიზისიდან. შემსუბუქონ ხალხის ფართო მასების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა. ამ გზაზე პირველი ნაბიჯი უნდა გადადგეს, ნათქვამია ქვეყნის ამ უდიდესი პროფგაერთიანების რეზოლუციებში, ვენესუელის მშრომელთა კონფედერაციის ხელმძღვანელობასა და მთავრობას შორის შეთანხმების მიღწევა სახელმწიფო ეკონომიკური პოლიტიკის ერთობლივი შემუშავების შესახებ.**

ძველი „პრინციპის“ პოზიციიდან

პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის ასი დღე

თეთრ ხასლში ახალი პრეზიდენტის ყოფნის ასი დღის შემდეგ, მისი საქმიანობის პირველი შედეგების შეჯამების ტრადიციას სათავე დაედო ფრანკლინ დელანო რუზველტის მმართველობის პერიოდში, რომელმაც მაშინ სამ თვეზე ცოტა მეტ ხანში დასახა და განახორციელა გაბედული რეფორმების სერია. ეს ტრადიცია შეერთებული შტატების პოლიტიკურ კალენდარში დღემდე მოქმედებს. იგი არც პრეზიდენტ ჯ. ბუშს დაურღვევია, რომელიც 24 აპრილს გამოვიდა ამერიკის გაზეთების გამომცემელთა ასოციაციის საქმიან სადილზე ჩიკაგოში.

ამთავითვე დავძენთ: ბუშის ფორმით ბრწყინვალე სიტყვა არ შეიცავს ახალ რადიკალურ იდეებს, მასში ჯერჯერობით არ ასახულა აგრეთვე ქვეყნის საშინაო თუ საგარეო პოლიტიკის გადასინჯვა, რაზეც, დამინისტრაციის განცხადებების თანახმად, პრეზიდენტის სპეციალური გუნდი მუშაობს.

არადა, ამგვარი მიმოხილვისა და სტრატეგიაში კორექტივების შეტანის დრო ახლანდელ ადმინისტრაციას საკმარისად ჰქონდა, ვინაიდან, თუმცა კი ბუშმა პრეზიდენტის პოსტი ოფიციალურად იანვარში დაიკავა, თეთრ სახლში ცხოვრების უფლება მან ჯერ კიდევ 1988 წლის ნოემბრის არჩევნების დროს მოიპოვა. ამიტომ ახალი იდეების არარსებობის მიზეზი, როგორც ჩანს, დროის დეფიციტი კი არ არის, არამედ ის, რომ ახლანდელი ხელმძღვანელობა არ აპირებს სერიოზული ცვლილებების მოხდენას. როგორც ამასთან დაკავშირებით აღნიშნა ეი-ბი-სი ტელეკომპანიამ, „ას დღეში, სხვა თუ არაფერი, ერთი რამ მაინც გახდა ცხადი— პრეზიდენტმა ხელისუფლება მემკვიდრეობით ჩაიბარა იმისაგან, ვისაც ემსახურებოდა, და იგი არ აპირებს ბევრი რამის შეცვლას“.

ვაშინგტონის საგარეო-პოლიტიკური კურსის ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვან ასპექტს — საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობას თუ შეეხებით, მას კვლავინდებურად ახასიათებს ორგვარი და წინააღმდეგობრივი შინაარსი.

ერთი მხრივ, ადმინისტრაცია, ისევე როგორც მისი წინამორბედები, დაჟინებით ამყარებს იმედს ძალის პოზიციიდან განხორციელებულ პოლიტიკაზე. ეს ბუშმა დაუფარავად განაცხადა ჩიკაგოში, სადაც ხაზი გაუსვა, საერთაშორისო საქმეებში ამერიკის ფუძემდებელ პოლიტიკურ პრინციპად რჩება „ძალა, რომლის იმედიც შეიძლება ჰქონდეთ ჩვენ მოკავშირეებს და რომელსაც ანგარიშს უნდა უწევდნენ ჩვენი მოწინააღმდეგეებიო“! ეს „პრინციპი“ განმარტა შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრმა რ. ჩენინმ, რომელმაც, იმავე დღეს გამოსვლისას, უარყო ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა წინადადება, რომ უახლოეს დროსა დაიწყოს ცალკე მოლაპარაკება ევროპაში განლაგებულ ტაქტიკურ ბირთვულ იარაღზე და კვლავ დაუჭირა მხარი მცირე სიშორის ბირთვული რაკეტების მოდერნიზაციას. აი, როგორ ახსნა ამგვარი მდგომა სი-ბი-ეს ტელეკომპანიამ: „იმ პირობებში, როცა ათასობით რუსული ტანკი იტვირთება აღმოსავლეთ ევროპაში რკინიგზის ვაგონებში საბჭოთა კავშირში გასაგზავნად, დასავლეთ პოლიტიკურ ლიდერებს სულ უფრო გაუჭირდებათ საზოგადოებრიობისათვის იმის განმარტება, თუ რატომ არ უნდა მოიცქნენ ისინი ამგვარადვე“.

მეორე მხრივ, ადმინისტრაცია ავლენს მზადყოფნას მოაგვაროს ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან და პრეზიდენტი განსაკუთრებით შეჩერდა ამაზე, როცა აღნიშნა, რომ შეერთებული შტატების საგარეო სამინისტროს ჩ. ბეიკერი უკვე შეხვდა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრს ე. ა. შევარდნაძეს და კვლავ შეხვდება მას მოსკოვში მომავალ თვეში, რათა განაგრძოს დიალოგი. ამასთან ერთად საქმეში ჩახედულ ამერიკელ მიმომხილველებს მიაჩნიათ, რომ ამჟამად მომდინარე საგარეო პოლიტიკის გადასინჯვა არ ითვალისწინებს შეერთებული შტატების რაიმე დიდ ნაბიჯებს შეიარაღების შემცირების ან სსრ კავშირთან ვაჭრობის შეზღუდვაზე უარის თქმის მიმართულებით.

ფაქტობრივად გამოიკვეთა ბუშის ადმინისტრაციის პოლიტიკა აღმოსავლეთ ევროპის სოციალისტური ქვეყნების მიმართ. აშკარად იყენებს რა მათ ეკონომიკურ სიძნელეებს, შეერთებული შტატები აპირებს დიფერენციერებულად მოეპყრას მათ, რაც, უწინარეს ყოვლისა, პოლონეთსა და უნგრეთს ეხება. გაირკვა პოზიცია ცენტრალური ამერიკის თაობაზეც: თავდაპირველად ადმინისტრაციამ მიიღწია ნიკარაგუელი კონტრრევოლუციონერებისათვის „ჰუმანიტარული“ დახმარების ასიგნებების გამოყოფას, შემდეგ კი ბუშმა გამოაცხადა, რომ გრძელდება ნიკარაგუის წინააღმდეგ ოთხი წლის წინათ შეოღებული სავაჭრო სანქციები.

სამნათო პოლიტიკის დარგში განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს სამხედრო ბიუჯეტის პროექტის გადასინჯვის შედეგები. ფინანსურმა სიძნელეებმა ადმინისტრაცია აიძულა 10 მილიარდი დოლარით შეემცირებინა სამხედრო ასიგნებანი. ამის შედეგად პენტაგონს ხარჯები 1990 საბიუჯეტო წელს 299 მილიარდ დოლარს შეადგენს.

და კიდევ ერთი რამ პრეზიდენტ ბუშის საქმიანობის ასი დღის შედეგების გამო. საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის თანახმად, ამერიკელთა უმრავლესობა თვლის, რომ იგი თავს არ თმევს საკუთარ მოვალეობებს.

● საგარეოთი

კიდევ ერთი აღიარება

ჯუნა დავითაშვილს მიენიჭა ოქროს მედალი „ჰუმანიზმისათვის“

ათენი. **აქ გაიმართა ალტერნატიული მედიცინის საერთაშორისო კონგრესი, რომელზეც ცნობილი საბჭოთა სპეციალისტი ჯუნა დავითაშვილი დაჯილდოვდა ოქროს მედლით „ჰუმანიზმისათვის“ და სიპატიო დიპლომით. მას მიენიჭა აგრეთვე საერთაშორისო ორგანიზაციის „ალტერნატიული მედიცინის“ დოქტორის ხარისხი.**

კონგრესის მუშაობაში მონაწილეობდნენ ინდოელი, იტალიელი, შრილანკელი, ამერიკელი და სხვა ქვეყნების ექიმები. განიხილეს ავადმყოფთა მკურნალობის ისეთი არატრადიციული მეთოდების შესაძლებლობანი, როგორიცაა. აკუპუნქტურა, რეფლექსოთერაპია, იოგა და ა. შ.

ჯუნა დავითაშვილი, განუცხადა საკადესის კორესპონდენტს მილანის სამეცნიერო კვლევის ინსტიტუტის დირექტორმა არნალდო ძანატამ, უეჭველად გამოჩენილი პრაქტიკოსი ექიმია, იგი მედიცინაში მიდის ახალი, გაუკვალავი გზით და მისი მიღწევები საყოველთაო აღტაცებას იწვევს.

ფოტოინფორმაცია

◆ ავსტრალია. **სიდნეის რიჩმონდის გარეუბანში, ავსტრალიის სამხედრო-საჰაერო ძალების ავიაბაზაში რამდენიმე დღეს გრძელდებოდა საერთაშორისო ავიასალონი. ამ ავიაფორუმზე საბჭოთა კავშირმა წარმოადგინა მსოფლიოში უდიდესი თვითმფრინავი — საჰაერო ტრანსპორტი ან-124 „რუსლანი“, რომელიც დიდი პოპულარობით სარგებლობდა ავიასალონის მნახველთა შორის, რიჩმონდში გაიმართა „რუსლანის“ ხიჩვენებელი ფრენა, რომელმაც ცხადყო გიგანტური ავიალაინერის მაღალი ტექნიკური მახასიათებლები.**

სურათზე: „რუსლანი“ რიჩმონდის სამხედრო-საჰაერო ბაზაში.

საკლისის ფოტო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს

გამოვთქვამ უდიდეს აღშფოთებას და გულისტკივილს 9 აპრილის ტრაგედიის გამო. მოხუცებულს სიცოცხლე გამიმწარდა.

ავადმყოფობის გამო უკანასკნელ ხანებში მე არ მქონდა შესაძლებლობა მონაწილეობა მიმეღო რაიმე ახდომაში.

უკეთუ გადაწყვეტილება სპეციალური რაზმების შემოყვანის შესახებ მიღებული იქნა პრეზიდიუმის მიერ, მე არ შემიძლია დავრჩე იქ. ხოლო თუ იგი მის გარეშე მოხდა, მითუმეტეს არ მიმაჩნია შესაძლებლად ვიყო იმ ორგანოს წევრი, რომელსაც ქართველი ხალხის ბედს არ ეკითხებიან.

ავლიკი ზურაბაშვილი, აკადემიკოსი.

„ლიტვა შეძრწუნებულია...“

მკითხველს ვთავაზობთ ცნობილი ლიტველი შექსპიროლოგის, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის ალგის გენიუშასის მიერ საერთაშორისო შექსპირული ასოციაციის აღმასრულებელი კომიტეტის წევრის — პროფესორ ნიკო ყიასაშვილისადმი გამოგზავნილ სამძიმრის წერილს 9 აპრილის ტრაგედიასთან დაკავშირებით. სამძიმრის ტექსტი მიწერილია შესანიშნავი ლიტველი მხატვრის კრასუსკასის ერთ-ერთ ცნობილ შექსპირულ ილუსტრაციაზე.

ძვირფასო ნიკო!

მიიღეთ ჩვენი ულრმესი თანაგრძნობა აღუწერელი უბედურების გამო, თქვენს შესანიშნავ და უძველეს ქალაქს რომ დაატყდა თავს. წუხელ ჩვენს სატელევიზიო პროგრამაში გვაჩვენეს ტრაგიკული კადრები, რომლებიც სპეციალურად ამისათვის თბილისში ჩამოსულმა ჩვენმა კინოკორესპონდენტმა გადაიღო. ლიტვა შეძრწუნებულია. ამ შემზარავი უბედურების ჩამდენთ გმობენ მთელი ჩვენი ქვეყნის ხალხები — ისინი უსათუოდ უნდა წარსდგნენ სახელმწიფო სამსჯავროს წინაშე რათა სამართლიანად დაისაჯონ.

გულწრფელად თქვენი

ალგიზი და იზოლდა.

მადლობა ყველას...

რედაქციაში წერილი მოვიდა, რომელსაც ხელს აწერს თბილისელი მოქალაქე ბ. ჩხაიძე: „...არ შემიძლია არ გამოვხატო მადლიერების გრძნობა მოსკოვში, ქართული კულტურის ცენტრ „მზიურში“ გამართული პრესკონფერენციის (გამო, რომელიც 9 აპრილის ტრაგიკულ ამბებს მიეძღვნა და რომლის ამსახველი რეპორტაჟიც ტელევიზიის საშუალებით მთელმა საქართველომ ნახა. დავიწმუნდით, თუ როგორ ხმალამოდებულნი იბრძვიან ან ქართული პრესის, კულტურის, მეცნიერების მოღვაწენი ჭეშმარიტების დასადგენად, დეზინფორმატორთა წინააღმდეგ... საკუთრივ სამართლიანად, ღირსეულად მოიხსენია გაზეთ „კომუნისტის“ რედაქტორმა ნიკოლოზ ჩერქეზიშვილმა გაზეთ „თბილისისთვის“ მიცემულ ინტერვიუში ყველა ის პირი, ვინც ხელი შეუწყო ამ ნამდვილი პოლიტიკური აქციის ნორმალურ ჩატარებას იქ, მოსკოვში, და შემდეგ საკავშირო სატელევიზიო პროგრამა „ვზგლიადის“ მომზადებული სიუჟეტის ავტორის ღვაწლიც სათანადოდ აღნიშნა. მაგრამ, რატომ არაფერი თქვა საქართველოს ტელევიზიის მუშაკზე მერაბ ბერაძეზე?

როგორც ტელეეკრანიდან ჩანდა, ამ ქართველ კორესპონდენტს ხომ აშკარად დიდი მუშაობა გაუწევია მოსკოვური პრესკონფერენციის ტელერეპორტაჟის მომზადებისას!...“.

რედაქციისაგან: **რასაკვირველია, დასანანი ფაქტია, რომ ინტერვიუში არ აღინიშნა საქართველოს ტელევიზიის კომენტატორის, მოსკოვში სპეციალურად მივლინებული მერაბ ბერაძის დამსახურება, რომელმაც სხვებთან ერთად დიდი წვლილი შეიტანა ამ მნიშვნელოვანი აქციის განხორციელებაში და თავისი პროფესიული ოსტატობით სრულყოფილი გახადა პრესკონფერენცია და სატელევიზიო გადაცემა. მასთან ერთად დღეს კიდევ ერთხელ ვუსურვებთ მადლობას ტელეოპერატორ ბესიკ ორმოცაძეს, რეჟისორს ზენონ კაციას და ყველას, ვინც მონაწილეობა მიიღო მოსკოველ ჟურნალისტებთან გამართულ პრესკონფერენციაში.**

თბილისის ჟურნალისტთა სახლში

არ დარჩენილა საქართველოში კაცი, სულით ხორცამდე რომ არ შეეძრა 9 აპრილის ტრაგედიას. მოხდა არნახული, შემზარავი დანაშაული, დაიღუპნენ ადამიანები.

იმ ავბედითი დღის შემდეგ ხშირად გაისმის: რაც მოხდა, გარდაქმნისა და საჯაროობისთვის ლაბორატორიის ჩაცემას ნიშნავსო. მწუხარებას ისიც ამძაფრებს, რომ ტრაგედიის დამნაშავეთა ვინაობა ჯერაც ბურუსთაა მოცული. ეს კი საზოგადოებრიობის გულისწყრომას იწვევს. ხალხს არ სურს დამარცხებული სმართლე, მას ჭეშმარიტების დადგენა ნებავს და ეს ადამიანის სისხლხორცეული თვისებაა.

შრომითს კოლექტივებში, დაწესებულებებში, სამეცნიერო-კვლევითს ორგანიზაციებში, სკოლებში, უმაღლეს სასწავლებლებში, საზოგადოებრივ გაერთიანებებში ეწყობა შეხვედრები სახალხო დეპუტატებთან, 9 აპრილის ტრაგედიის გამომკვლევი კომისიის წევრებთან, ინტერლიგენციის წარმომადგენლებთან.

თბილისის ჟურნალისტთა სახლში, მოეწყო შეხვედრა სსრ კავშირის არქიტექტორთა და დიზაინერთა კავშირებისაგან სახალხო დეპუტატებთან. მას ეს-წრებოდნენ სსრ კავშირის არქიტექტორთა კავშირის გამგეობის პირველი მდივანი იური პლატონოვი, სომხეთის არქიტექტორთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე არცვინ გრიგორიანი, საქართველოს დიზაინერთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე ზურაბ წერეთელი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კათედრის გამგე, სახალხო ფრონტის წარმომადგენელი, პროფესორი გივი თუმანიშვილი, ფილოსოფიის ინსტიტუტის დირექტორი ნიკო ჯავახიშვილი, სსრ კავშირის სახალხო დეპუტატები თამაზ გამყრელიძე და ელდარ შენგელაია.

შეხვედრა გახსნა და მის მონაწილეებს მიესალმა საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის თავმჯდომარე, გაზეთ „კომუნისტის“ რედაქტორი ნიკოლოზ ჩერქეზიშვილი.

ცენტრალურ პრესაში, ტელევიზიაში ძალზე ხშირად გაისმის 9 აპრილის ტრაგედიის მიგვარი ფორმულირება, რომელიც არ შეესაბამება სინამდვილეს და მცდარ ინფორმაციაზეა დაფუძნებული, აღნიშნა საქართველოს არქიტექტორთა კავშირის თავმჯდომარემ ნოდარ მგალობლიშვილმა.

მოსკოვში, არქიტექტორთა ცენტრალურ სახლში, თქვა გიორგი პლატონოვმა, ქართველმა კოლეგებმა გვიჩვენეს ვიდეოფირზე აღბეჭდილი საზარელი ტრაგედია. შემაძრწუნებელი, დამორგუნველი გრძნობა დაგვეუფლა ყველას. მომხდარი თავისთავად უმძიმესი დანაშაულია, მაგრამ მთავარი ის არის, ვინ ქმნის, ვინ აყალიბებს იმ სპეციალურ რაზმებს, რომლებისთვისაც კაცის კვლა ხელობა გამხდარა. ბოროტების სათავე სწორედ აქ უნდა ვეძებოთ.

შეხვედრის მონაწილეთა დიდი ინტერესი გამოიწვია გივი თუმანიშვილის ინფორმაციამ, რომელიც ეხებოდა დაღუპულთა და დაშავებულთა მდგომარეობის გამომწვევი მიზეზების დადგენას.

დღეს უკვე უდავოა, რომ 9 აპრილს გამოყენებული იყო მომწამლავი ნივთიერება. ცხადია, აღმაშფოთებლად მიგვაჩნია ის ფაქტი, რომ მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი, მათ შორის ცენტრალური გაზეთები „პრავდა“ და „ი

ძეგლის ახალი სიცოცხლე

პროექტის ავტორები მოსაზრებას გვთავაზობენ

თქვენ რას იტყვით?

ნათძვამია, წარსულის შეუცნობლად მომავლის შეცნობა შეუძლებელიაო. ამიტომ ისტორიული ძეგლების დღევანდელ მოთხოვნათა შესაბამისად გამოყენების ყოველ ცდას მხურვალედ უნდა დავუჭიროთ მხარი.

ამ მხრივ საგულისხმოა პარტიის საგარეჯოს რაიკომის ინიციატივა — ჩაილურის ციხის მიმდებარე ტერიტორიაზე და საკუთრივ ციხის შემოგარენში რაიონის მშრომელებისა და ჩამოსული სტუმრებისათვის მოაწყოს კულტურისა და დასვენების კერა, რათა ძეგლი ხალხს, განსაკუთრებით მოსწავლე ახალგაზრდობას დაუახლოოს, მშობლიური ერის ისტორია და კულტურა შეაყვაროს, ძეგლებზე ზრუნვის შეჩვიოს. პატრიოტული და ინტერნაციონალური სულისკვეთება გაუღვივოს.

ჩაილურის სასოფლო საბჭოს დაკვეთით საქართველოს ძეგლთა დაცვის საზოგადოებასთან არსებულმა არქიტექტურულ-სარესტავრაციო და მხატვრულ-დიზაინერმა კოოპერატივმა „გონიომ“ დაამუშავა ჩაილურის ციხის მიმდებარე ტერიტორიის გენერალური გეგმისა და მისი შემადგენელი ობიექტების ესკიზური პროექტები.

პროექტის ავტორებმა (თ. ნათიძე, რ. ხატაშვილი, ი. ფაიალიძე, ვ. ვაჩნაძე) შემოთავაზებული იდეა კიდევ უფრო გაღრმავეს და ჩაილურის ციხის გარშემო შექმნეს განვითარებული, მრავალფუნქციური კომპლექსი, რომლის შემადგენლობაში გათვალისწინეს: კულტურის, მეცნიერების, ისტორიის, ხალხური მეურნეობისა და ხალხური რეწვის ზონა; ბავშვთა გასართობი ზონა, ეროვნული კერძებით გამასპინძლების ზონა; სპორტულ-გამაჯანსაღებელი ზონა და კულტმასობრივი ღონისძიებების ზონა საკუთრივ ციხის ტერიტორიაზე.

პროფესორმა პ. ზაქარაიამ ჩაილურის ციხე, ზოგადი ნიშნებით, XVII საუკუნის მეორე ნახევრით დაათარიღა. იგი აგებულია საგარეჯო-გურჯაანის გზატკეცილის მარჯვენა მხარეს, მანავის ციხიდან რამდენიმე კილომეტრის დაშორებით. ორივე ციხე ამ გზას იცავდა. როდესაც ციხემ თავისი აუთენტური ფუნქცია დაკარგა, ყურადღებას აღარავინ აქცევდა, უფრო მეტიც — იგი ქვის კარიერად აქციეს.

ჩაილურის ციხის აღდგენის კეთილშობილური იდეა პარტიის საგარეჯოს რაიკომს ეკუთვნის. ვინაიდან ციხის გალავანი მთლიანად არსად შემორჩა, არც მისი ფორმები, კონსტრუქციები და სხვა დეტალები შემოინახა, აღდგენა შესაძლებელი გახდა მხოლოდ სტილისტურის რესტავრაციის შეთოდით. კონსერვაციისა და პრეეოლოგიური რესტავრაციისაგან განსხვავებით, სტილისტური რესტავრაცია მიზნად არ ისახავს ძეგლის ორიგინალური ნაწილების ხელშეუხებლობას. ამ მეთოდით დასაშვებია დაზიანებული და არარსებული ელემენტების ახლით შეცვლა. მთავარი მიზანია — მიღწეული იქნეს ძეგლის სტილისტური ერთიანობა თავდაპირველი სახით. ამ ამოცანას კარგად გაართვეს თავი არქიტექტორებმა თ. დვალმა და კ. გიორგობიანმა. ამჟამად ციხის საექსპოზიციო მხარე მოწესრიგებულია. იგი სასიამოვნოდ იკითხება გარემო ბუნების ფონზე.

პროექტით გათვალისწინებულია ციხისკენ ორი გზის გაყვანა. ერთი — ძირითადი, ჩრდილო-დასავლეთისა, მთავარი შესასვლელის მხრიდან. მეორე, ჩრდილო-აღმოსავლეთისა, სამეურნეო შესასვლელის მხრიდან. ორივე გზა თავს იყრის გალავნის დასავლეთის ფუძესთან, საიდანაც იწყება აღმასვლა ციხისაკენ. გზების შესაყართან პატარა მოედანია დასასვენებლად. იქვეა წყაროც. მთავარი გზის ორივე მხარეს გათვალისწინებულია არქეოლოგიური და არქიტექტურული ექსპოზიციის მოწყობა ღია ცის ქვეშ, როგორც ორიგინალური ექსპონატებით, ასევე ასლებით.

კულტურის, მეცნიერების, ისტორიის, მეურნეობისა და ხალხური რეწვის ზონა იწყება ტერიტორიაზე შესასვლელიდან, სადაც მოთავსდება ნახევარწრიული ფორმის საგამოფენო ნაგებობა. მას ეკნება ცენტრის მიმართ სიმეტრიულად განლაგებული სამსამი დარბაზის, ვიდეოსალონი და ფონდსაცავი. მარჯვენა მხარის დარბაზები ეთმობა კახეთის ისტორიული წარსულის ამსახველ ექსპოზიციას. ერთში წარმოდგენილი იქნება არქეოლოგიური მასალა, მეორეში — კულტურის ძეგლები, მესამეში — რევოლუციამდელი პერიოდის კახეთის გამოჩენილი ისტორიული პირები, მეცნიერები, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეები.

მარცხენა მხარის დარბაზებში წარმოდგენილი ექსპოზიცია ეძღვნება თანამედროვე კახეთის ცხოვრების უმნიშვნელოვანეს მოვლენებსა და პიროვნებებს. ერთ დარბაზში აისახება მეურნეობის ყველა დარგში შრომითი მიღწევები, მეორეში — მეცნიერება, ხელოვნება, ლიტერატურა და სპორტი, მესამეში — რევოლუციისა და სამამულო ომში მონაწილეობა. დამთვალიერებლებს ვიდეომაგნეტოფონის გამოყენებით საშუალება მიეცემათ ნახონ ისტორიული და დოკუმენტური ფილმები, ძეგლების მდგომარეობის შესახებ სათანადო ტექსტის თანხლებით.

აქვე გაიყიდება სუვენირები, მხატვრულ ხელწარმოებათა ასლები, მხატვრული ლიტერატურა, ბუკლეტები და გზამკვლევები.

საგამოფენო დარბაზიდან დამთავლილებები კომპლექსის ტერიტორიაზე გავლენ. ცენტრალურ გზას, რომელსაც ციხესიმაგრისკენ მივყავართ, ორივე მხარეს არქეოლოგიური და არქიტექტურული ნიმუშები დაამშვენებს, მარცხენა გზა კი ხალხური რეწვის საამქროებს, ქახური ღვინოების საღეგუსტაციო დარბაზს, თონეს ჩაუვლის.

ხალხური რეწვისათვის გათვალისწინებულ შენობას ეკნება ოთხი საამქრო, დამბმარე სათავსოები და ფართო საგამოფენო სავაჭრო ლოჯია. აქ დამთვალიერებელს საშუალება მიეცემა ადგილზე გაეცნოს ხალხური ოსტატების მიერ ლითონის, ხის, კერამიკის ნაკეთობათა, ხალიჩების, ფარდაგების შექმნის პროცესს, იქვე, სავაჭრო ლოჯიაში შეიძინოს ნებისმიერი ნაწარმი.

ხალხური რეწვის საამქროებს მოსდევს ქახური ღვინოების საღეგუსტაციო დარბაზი, რომელიც ასევე ორი ნაწილისაგან — საკუთრივ დარბაზისა და ლოჯისაგან შედგება. სადაც გაიყიდება სუვენირულ ბოთლებსა და დოქებში ჩამოსხმული ღვინო. დახურულ დარბაზში ვნახავთ ტრადიციულ ქახურ მარანს საწნახელითა და ქვევრებით.

თვით ციხესიმაგრის ტერიტორია, ასევე, გათვალისწინებულია კახეთის ისტორიული წარსულის გასაცნობად. აქ ეწყობა თეატრონი ტრადიციული დღესასწაულების ჩასატარებლად. გალავნის გასწვრივ, კოშკების მეორე სართულის ნიშნულზე, მოწყობილია ერთმანეთთან დამაკავშირებელი ღია აივანი, რომელიც მაყურებელს მიიღებს საზეიმო ცერემონიალის დროს.

ბავშვთა გასართობი ზონა ემიჯნება სპორტულ ზონას, რომელსაც ეკნება ღია საცურაო აუზი, დახურული სპორტული დარბაზი და ღია სპორტული ბაქნები.

კახეთის რეგიონში მსგავსი მასშტაბის აუზი (50X25 მ) საერთოდ არ გაგვაჩნია. ვფიქრობ, ცურვის სპორტის ამ შესანიშნავი სახეობის განვითარებისათვის ასეთი აუზი დიდ პრაქტიკულ სარგებლობას მოუტანს არა მარტო საგარეჯოს, არამედ მეზობელ რაიონებსაც.

რა თქმა უნდა, კომპლექსის მშენებლობას ერთი რაიონის შესაძლებლობები ვერ გასწვდება. პროექტის ავტორებს არ გამოგვრჩენია ეს გარემოება. თუ ამ საქმეს ვიწრო რაიონული რაკურსიდან არ შეეხედავთ, ადვილად მოვეკლება. ვგულისხმობთ რესპუბლიკის უწყებებისა (კულტურის, ვაჭრობის, სახალხო განთლების, შრომებლობის სამინისტროებს), სპორტკომიტეტს, სახმშენს, ცეკავშირს და ა. შ) და კოოპერატივების აქტიურ მონაწილეობას.

ყველა უწყებამ წილობრივი მონაწილეობა რომ მიიღოს, წყალსაც ადმოვაჩენთ, ელექტროენერგიასაც მივიყვანთ, საჭირო მასალებითა და მუშახელითაც უზრუნველყოფთ მშენებლობას.

ძეგლის სიცოცხლის გახანგრძლივების ერთ-ერთი რეალური საშუალება მისთვის თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი ფუნქციის მინიჭებაა. ველით თქვენს გამოხმაურებას, მკითხველებო.

თამაზ ნათიძე,
პროექტის მთავარი არქიტექტორი.





სურათებზე: ჩაილურის ციხე; მომდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის პროექტი.

რედაქციისაგან: რა თქმა უნდა, ჩაილურის ციხისა და მისი ტერიტორიის კეთილმოწყობა და რესტავრაცია, რათა იგი ემსახურებოდეს როგორც მშრომელთა კულტურულ დასვენებას, ისე ახალგაზრდობის პატრიოტული და ესთეტიკური აღზრდის ამოცანებს, თავისთავად ურიგო განხრახვა როდია, მაგრამ გასათვალისწინებელია მთელი რიგი მომენტები; თუნდაც ის, რომ ციხე საკმაოდ მოშორებულია გზიდან.

ამიტომ, მის კეთილმოსაწყობად ან ვეებერთელა საცურაო აუზის ასაგებად გაღებული ხარჯები მოსალოდნელია, რომ წყალში გადაყრილი აღმოჩნდეს. კულტურისა და დასვენების კერად რომ იქცეს ჩაილურის ციხე, პირველყოვლისა, აუცილებელია საგანგებო ტრანსპორტი და სხვა აუცილებელი კომპონენტები.

სასურველია, ამ თემაზე საუბარი მკითხველმა განაგრძოს.

ᲓᲘᲖᲐᲘᲜᲔᲠᲘᲐ **კავშირის გამგეობის თავმჯდომარესთან, სახჭოთა კავშირის სახალხო მხატვართან, აკადემიკოს ზურაბ წერეთელთან ჩვენი მისვლა ამ დღეებში მოხდა, რადგან ცნობილი მხატვარი ამერიკაში იყო წასული.**

— ბატონი ზურაბი დაბახასიათებელი გულისხმიერებით შეგვხვდა. იგი ტელეფონით საუბრობდა — ჩვეულებისამებრ დახმარებას თავაზობდა ამჯერად ავჭარის მაღალმთიანი რაიონების სტიქიით დაზარალებული მოსახლეობისათვის. მხატვარმა ნინოწმინდის მემორიალური კომპლექსის შექმნისათვის მიღებული ბონორარიდან 8.000 მანეთი გადარიცხა დაზარალებულთა დახმარების ფონდში, ხოლო დიზაინერთა კავშირიდან — 20.000 მანეთი.

— ბატონო ზურაბ, საქართველოში არ შეგულება კაცი, გულში ჭრილობად რომ არ ჩარჩენოდეს 9 აპრილს თბილისში დატრიალებული ტრაგედია. იქნებ გაგვიზიაროთ ის განწყობილება, რომელიც სუფევდა და სუფევს ოკეანისგადმელთა შორის.

— ნიუ-იორკში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე ვდგავთ გიორგი გამარჯვებულის (წმინდა გიორგის) მონუმენტს. იგი შეიქმნება საბჭოთა და ამერიკული ჩამოწერილი რაკეტების მასალისაგან სიმბოლოდ იმისა, თუ როგორ დაიძლევა ბოროტება სიკეთით. მე ვისურვებდი, ყოველგვარი საბრძოლო იარაღი ხელოვნებას მობმარებოდეს; ყველა საღებავი, რომლებითაც იარაღი იღებება, მხატვრებს გადაეცეს.

საქართველოში მომხდარი ტრაგედიის შესახებ განსაკუთრებული დაინტერესება ნიუ-იორკის შტატის ბროკფორდის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტში გამოიჩინეს, იქ, სადაც ვეპედაგოგობ. სტუდენტებთან შეხვედრისთანავე, რომლებმაც იხილეს ტრაგედიის ამსახველი დოკუმენტური მასალები, გაიმართა გულახდილი, დაინტერესებული სჯა-ბაასი მომხდარის გამო. სტუდენტებში თანაგრძნობის ნიშნად ჩაატარეს დემონსტრაცია ჩემს მიერ იქ შექმნილი სკულპტურული კომპოზიციის — „ბედნიერება ბავშვებს“ — გარშემო, რომელიც გამოხატავს, დაბადებას, სიყვარულს და მისწრაფებას სიკეთისაკენ. დემონსტრანტებს მოჰქონდათ ყვავილები, დუმილით მიაგებდნენ პატივს დაღუპულთა ხსოვნას.

ასეთივე აქცია მოაწყვეს კოლუმბიის უნივერსიტეტის სტუდენტებმაც; ამ ტრაგედიას აქტიურად აშუქებდა ამერიკის ტელევიზია.

განსაკუთრებული ინტერესი გამოიჩინეს ამერიკელი ინტელიგენციის წარმომადგენლებმა; ჩემთან შეხვედრის სურვილი გამოთქვეს კულტურის მუშაკებმა, თეორი სახლის სამსახურმა, გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ, მხატვართა და დიზაინერთა საზოგადოებების პრეზიდენტებმა, იურისტთა საზოგადოებამ, იქაურ ჟურნალისტთა ფართო წრემ.

გარდა ამისა, მომისამძიმრეს იმ პერიოდში იქ მყოფმა ხელოვნების წარმომადგენლებმა, თეატრ „სოვრემენიკის“ მთავარმა რეჟისორმა გ. ვოლჩეკმა იქაურ მსახიობებთან და რეჟისორებთან ერთად, ჟურნალ „ნოვოე ვრემიას“ მთავარმა რედაქტორმა ვ. იგნატენკომ, ჯორჯის შტატის ქალაქ ატლანტის მეხოვრებლებმა, რომლებთანაც ჩვენ მგგობრული ურთიერთობები გვაქვს; ასევე ქალაქის მერმა ენდრუ იანმა სამძიმარი გამოუცხადა ქართველ ხალხს და თბილისის თავს ი. ანდრიაძეს.

— ბატონო ზურაბ, მომდინარე წლის 27 აპრილს მოსკოვში საქართველოს კულტურის ცენტრის „მზიურის“ საკონფერენციო დარბაზში საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის ინიციატივით მოეწყო შეხვედრა ცენტრალური პრესისა და ტელევიზიის წარმომადგენლებთან, მოსკოველ ჟურნალისტებთან. როგორია თქვენი აზრი ამ შეხვედრის შესახებ, მით უმეტეს, რომ თქვენ ამ შეხვედრის უშუალო მონაწილე და ერთ-ერთი ინიციატორიც ბრძანდებოდით?

— მე მგონია, ეს შეხვედრა ძალზე დროული და აუცილებელი იყო. ნაყოფიც მაღე გამოიღო. მხედველობაში მაქვს ის, რომ ამ შეხვედრის მეორე დღესვე საინფორმაციო-მუსიკალური პროგრამის „თვალსაზრისის“ გადმოცემაში უკვე გაჩნდა ჩვენთვის, ყველასათვის საჭირო ობიექტური მსჯელობები და დასკვნები.

ამ შეხვედრის დროს „მზიურში“ ჩემთან ერთად იყო საქართველოზე უზომოდ შეყვარებული ამერიკელი სენატორი ბრედლი, რომელიც საქართველოში ნამყოფია. კულტურის ცენტრში, ამ დღეს, ჩვენი სტუმარი იყო აგრეთვე საბჭოთა კავშირში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის მეუღლე — ქალბატონი მეტლოკი. მათთან ერთად ამერიკის მთავრობის ხელოვნების გამგებელი წრეების, ამერიკული პრესის წარმომადგენლებიც გახლდნენ. ჟურნალისტებთან პრეს-კონფერენციის შემდეგ ჩემს ამ სტუმრის კითხვებს ობიექტური პასუხი გავეცით საქართველოს კინემატოგრაფისა და „ოქროს ვაზის“ გამგეობის თავმჯდომარემ, ე. შენგელაიამ. რუსთაველის სახელგადგმის ასპარეზი ბრძანებელ ასოციაციის წევრმა პაატა ჩიკურაშვილმა და მე.

— ბატონო ზურაბ, რა უახლოესი ამოცანები გაქვთ თქვენ, როგორც საბჭოთა კავშირის სახალხო დეპუტატს, საკავშირო მშვიდობის დაცვის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეს და საქართველოს დიზაინერთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარეს?

— ჩვენი უპირველესი ამოცანა ახლა ის არის, რომ ერთად ვიყოთ — ძალა ერთობაშია.

— ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ აღარ განმეორდეს ასეთი ტრაგედია;

— ჩვენს რესპუბლიკას ჰქონდეს, ეროვნული ტრადიციებიდან გამომდინარე კონსტიტუცია;

— მივაღწიოთ სულიერ თავისუფლებას;

— შეიცავლოს ძველებური აზროვნების წესი;

— ჯეროვანი ყურადღება დაეთმოს რესპუბლიკის ეკონომიკის განვითარებას, რაშიც მეც პირადად მივიღებ აქტიურ მონაწილეობას;

— განსაკუთრებით უნდა გამახვილდეს ყურადღება ახალი თაობის აღზრდაზე, რაშიც აუცილებლად დიდი როლი უნდა შეასრულონ სკოლამ, საზოგადოებამ და ეკლესიამ. ჩამოყალიბდეს პროგრამა ახალი ადამიანის ფორმირებისათვის;

— სტუდენტთა და სპეციალისტთა პროფესიული დონის ასამაღლებლად მონდეს მათი სიტტემატური გაცვლა საზღვარგარეთის მოწინავე ქვეყნებთან...

ახლა კი უფრინარეს ყოველისა მოწამლული ბავშვების გადარჩენისათვის უნდა ვიზრუნოთ. უნდა დადგინდეს ქიმიური მოწამვლის საწინააღმდეგო პრეპარატები, და თუ საჭირო შეიქმნა, საზღვარგარეთიდან შემოვიტანოთ ეს წამლები.

ესაუბრა
აკაკი სიხარულიძე.

ᲥᲐᲚᲐ ᲔᲠᲗᲝᲑᲐᲨᲘᲐ!

წყალბურთი

ინციდენტი საცურაო აუზში

დამთავრდა უმაღლესი ლიგის გუნდების საკავშირო ჩემპიონატის წინასწარი შეჯიბრება. ქვეყნის 8 უძლიერესი კოლექტივი სატურნირო ცხრილში ასე განაწილდა: მოსკოვის „დინამო“ — 32 ქულა, ცსკა ვმფ — 27, ლვოვის „დინამო“ — 22, მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტი — 21, თბილისის „დინამო“ — 20, ალმა-ათის „დინამო“ — 19, კიევის „დინამო“ — 14, მოსკოვის „ტორპედო“ — 11.

ჩემპიონატის. ახალი დებულების თანახმად გუნდები დაკავებული ადგილების მიხედვით ორ ჯგუფში განაწილდებიან და ორ წრედ ითამაშებენ. მოსკოვისა და ლვოვის დინამოელები, ცსკა ვმფ და უნივერსიტეტი სუპერფინალში გასვლისათვის იბრძოლებენ, დანარჩენი ოთხი გუნდი კი V-VIII ადგილებს გაიანაწილებს.

როგორც ხედავთ, ქართველი წყალბურთელები ვერ მოხვდნენ პირველ კვარტეტში და დაკარგეს მედალის მოპოვების შანსი. არადა, ჩვენი გუნდის სტატი ერთობ დამაიმედებელი იყო. თბილისელი წყალბურთელები შედარებით სუსტად გამოვიდნენ ამ დღეებში დამთავრებულ მოსკოვის ტურში. ამას გარდა, უნივერსიტეტელებთან ბოლო შეხვედრაში უსიამოვნო ინციდენტიც მოხდა: მეტოქეებმა ვერ მოთოკეს ემოციები და საცურაო აუზში ჩხუბი გააჩაღეს.

თბილისის „დინამოს“ სამი წამყვანი წყალბურთელის დისკვალიფიკაცია პირველი ზომაა, რაც მსაჯთა კოლეგიის სახელდაღლილ სხდომაზე მიიღეს, — უთხრა „სოვეტსკი სპორტის“ კორესპონდენტს საბჭოთა კავშირის წყალბურთის ფედერაციის თავმჯდომარემ ი. ფილიპევმა, — უახლოეს დღეებში პრეზიდიუმზე ყურადღებით განვიხილავთ ამ ინციდენტს და სათანადო დასკვნებს გამოვიტანთ.

მაინც, რა მოხდა „ოლიმპიური“ სპორტკომპლექსის საცურაო აუზში? ამ კითხვაზე ზუსტი პასუხი ჯერჯერობით არა გვაქვს. ვიმედოვნებთ, რომ „კომუნისტის“ მკითხველები მალე მიიღებენ ობიექტურ ინფორმაციას.

სატურნირო ორბიტა

ᲨᲔᲮᲕᲓᲣᲠᲗᲘ. გაიმართა მსოფლიოს 1990 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის კიდევ ორი მატჩი. პარიზის „პარკ დე პრენსის“ სტადიონზე ერთმანეთს შეხვდნენ საფრანგეთისა და იუგოსლავიის გუნდები (მე-5 ევროპული შესარჩევი ჯგუფი). მატჩი დამთავრდა ფრედ — 0:0. მასპინძლებს მხოლოდ გამარჯვება ანდევდა ხელს, რადგან მათი შანსები ფინალურ ტურნირში გასასვლელად ისედაც ერთობ მოკრძალებული იყო. მაგრამ, როგორც ხედავთ, მიშელო პლატინის გუნდმა თაყვანისმცემელთა იმედები აუსრულებელი ვერ გაამართლა. ამ ჯგუფში 9 ქულით (5 თამაშიდან) ლიდერობენ შოტლანდიელები, 4 მატჩში 6 ქულა დააგროვეს იუგოსლავიელმა ფეხბურთელებმა, ფრანგებს კი 5 ტურის შემდეგ მხოლოდ 4 ქულა აქვთ.

ბრიუსელში ითამაშეს ბელგიისა და ჩეხოსლოვაკიის გუნდებმა (მე-7 ევროპული შესარჩევი ჯგუფი). ანგარიშით 2:1 გაიმარჯვეს მასპინძლებმა. მათგან ორივე გოლი გაიტანა მარკ დევრონმა, ერთი გოლი გაქვითა ჩეხოსლოვაკიელმა მილან ლუხოვმა. ამ გამარჯვების შემდეგ ბელგიელები დაწინაურდნენ თავიანთ ჯგუფში. მათ 4 ტურში 6 ქულა მოაგროვეს. 3 მატჩში 5 ქულა აიღეს პორტუგალიელებმა, 3 — ჩეხოსლოვაკიელებმა.

ევროპის საფეხბურთო ასოციაციათა კავშირმა 25 ათასი შეეცარიული ფრანკით დააჯარიმა იტალიის საკლუბო გუნდი „ნაპოლი“. უეფას თასზე „ნაპოლისა“ და გფრ-ს „ბავარიას“ ნახევარფინალური მატჩის დროს უდისციპლინოდ იქცეოდნენ იტალიელი გულშემატკივრები, ფეხბურთის მინდორზე ისროდნენ სხვადასხვა საგანს, ტრიბუნაზე ააფეთქეს კვამლის ბომბი.

ᲨᲐᲠᲘᲙᲐᲝᲑᲐ. 20 წლის დასავლეთგერმანელმა რაპირისტმა ალექსანდრე კოხმა მოიგო პოპულარული საერთაშორისო შეჯიბრება — „ბონის ლომის“ ტურნირი. მან ფინალში დაამარცხა იენს ბოვე (გდრ) — 11:9. მინსკელი ალექსანდრე რომანკოვი მეოთხე ადგილზე გავიდა, ბაქოელი ილგარ მამედოვი — მერვეზე.

ᲪᲣᲠᲕᲐ. ქალაქ გერაში (გდრ) ხამ დღეს გრძელდებოდა გდრ-სა და სსრ კავშირის მოცურავეთა ტრადიციული ახპარეზობა, რომელიც მასპინძლებმა მოიგეს. ვაჟთა შეჯიბრებაში გერმანელმა მოცურავეებმა ანგარიშით 121:70 გაიმარჯვეს, ქალთა ტურნირში — 129:62.



საქინფორმის ფოტო.

პროსპექტი კიდევ უფრო დამშვენდება

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ, მთავრობის სახლის წინ მომხდარი 9 აპრილის ტრაგედია ჯერ კიდევ მოუშუშებელ ჭრილობად აჩნევია ხალხის გულს. მაგრამ ცხოვრება გრძელდება, და უკვე დღეს მისი განახლების იმედით გავცქერით მომავალს.

ახალი ნიოს სიმბოლოდ, პირველ ნიშნად მოგვეფინა რუსთაველის პროსპექტზე მთავრობის სახლის ფასადის ნაწილის განახლების ფაქტი. თბილისის საზოგადოებრიობის წინადადების შესაბამისად, გადაწყდა, გადაკეთდეს შენობის ფასადი და მისი მომდებარე ტერიტორია.

სურათზე: დაიწყო.

თბილისი

პირველი პროგრამა. 13.05 — ნაშუადღევს. 13.50 — მოსწავლეთათვის. საბჭოთა სახელმწიფოს და სამართლის საფუძვლები. 16.10 — ქართული დოკუმენტური ფილმი „კონცერტი ვიოლინისა და ორკესტრისათვის“. 16.30 — საინფორმაციო გადაცემა. 16.40 — მათემატიკის ტელეკურსი. 17.10 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „ზღარბზე და სხვებზე“. 17.30 — შევისწავლოთ გერმანული ენა. 18.00 — ქართული დოკუმენტური ფილმი „ილია ჭავჭავაძე — 150“. 18.50 — განცხადებები. 18.55 — სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში. თბილისის „დინამო“ — დონეცკის „შახტიორი“. 20.45 — მოამბე. 21.20 — ვიმეორებთ, რომ არ დარჩეს „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“. „რა ნისლი მოგიხვევია“. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — გარდაქმნის პროექტორი. 22.50 — პ. ჩაიკოვსკი. პირველი საფორტეპიანო კონცერტი ორკესტთან ერთად. დირიჟორი — ჰერბერტ ფონ კარაიანი, სოლისტი — ე. კისინი. 23.40 — ინტერვიუ ი. გრიგოროვიჩთან.

მეორე პროგრამა. 9.35 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „ფიჭვი, კოსმოსი და კომპიუტერი“. 9.55 — სატელევიზიო მხატვრული ფილმი „დინოზავრი“. 12.00 — მოსწავლეთათვის. მათემატიკა. 12.30 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 13.05 — ნაშუადღევს. 13.50 — მოსწავლეთათვის. საბჭოთა სახელმწიფოსა და სამართლის საფუძვლები. 14.20 — ქართული მხატვრული ფილმი „გიორგობისთვე“.

მოსკოვი

პირველი პროგრამა. 7.30 — „120 წუთი“. 9.35 — მხატვრული ტელეფილმი „ნინ, გარდემარინებო!“. I სერია. 11.05 — ახალი ამბები. 11.15 — კინოალმანახი. 12.35 — ტ. კირიაკის მელოდიები. 13.00 — ალმანახი „მსოფლიოს გარშემო“. 14.00 — „ეს იყო... იყო...“. 16.30 — ახალი ამბები. 16.40 — მუსიკალური საგანძური“. ა. დვორჟაკი — № 9 სიმფონია, „სლავური ცეკვა“. 17.30 — დოკუმენტური ფილმი. 17.45 და 20.20 — მულტფილმები. 17.55 — ახალი ამბები. 18.00 — ბავშვის საათი (ინგლისური ენის გაკვეთილითურთ). 19.00 — პროგრესი, ინფორმაცია, რეკლამა“. 19.45 — დღეს მსოფლიოში. 20.00 — „სურნაის“ მელოდიები“. გადაცემა ყაზანიდან. 20.25 — მხატვრული ტელეფილმი „ნინ, გარდემარინებო!“. I სერია. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — გარდაქმნის პროექტორი. 22.50 — პ. ჩაიკოვსკი. პირველი კონცერტი ფორტეპიანოსა და ორკესტრისათვის. 23.40 — ინტერვიუ ი. გრიგოროვიჩთან. 0.20 — დღეს მსოფლიოში. 0.35 — რიშარდ შაფიევი და „გუნეშის“ ჯგუფი მუსიკალურ პროგრამაში „ჩემს მეგობრებს“.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.15 — — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი. 9.35 და 10.35 — ინფორმატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის საფუძვლები. X კლასი. 10.05 და 11.35 — გერმანული ენა. 11.05 — ჟურნალი „ტელეეკო“. 12.05 — რ. შუმანი. ტრიო ფორტეპიანოსათვის, ვიოლინოსა და ჩელოსათვის ფამაჟორი. 12.40 — მხატვრული ტელეფილმი „უკან მოხედვა არ დაგავიწყდეს“. 14.15 — ახალი ამბები. 18.00 — „მეგობრების ეკრანი“. ჩეხოსლოვაკიური მხატვრული ტელეფილმი „ჩრდილოური რაიონი“. I სერია. 18.50 — ახალი ამბები. 19.00 — „ჩრდილოური რაიონი“. II სერია. 20.00 და 21.00 — ფეხბურთი. „დნეპრი“ — მოსკოვის „დინამო“. შესვენებისას — 20.45 — „ძილი ნებისა, პატარებო!“. 21.50 — კონცერტი. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — გარდაქმნის პროექტორი. 22.50 — „ჩრდილოური რაიონი“. I სერია. 23.40 — ახალი ამბები. 23.50 — „ჩრდილოური რაიონი“. II სერია.

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ ᲙᲘᲓᲔᲕᲘᲡ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ 09434 ᲗᲘ 97101 ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲞ ᲪᲙ-ᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲚᲘ ᲡᲐᲛᲮᲐᲠᲘ, ᲡᲢᲠᲘᲥᲝᲜᲘᲡ Ქ. 14, ᲒᲐᲛᲝᲪᲛᲣᲚᲘ ᲞᲝᲡᲢᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲘᲗ ᲞᲘᲚᲘᲐᲚᲘ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲐᲨᲘ, ᲑᲝᲡᲢᲝᲜᲘᲡ Ქ. 20